ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

VIII – XII (5)

საქართველოს სახალხო ფრონტი
...ველქვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
...ოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 25 (1360) 30/VII — 4/VIII 1993 წ.

...აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება გაცხოველებულ მსჯელობას, კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგი თუ მას ...აცეად თვლის, მავანს ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, ერის შეურაცხყოფად მიაჩნია და აფხაზეთის ფაქტობრივ დაკარგვასთან აქვს ...გივეგული.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ინტერვიუები საქართველოს პარლამენტის წევრებთან, ბატონებთან ნოდარ ...თაძესთან და ვახტანგ ხმალაძესთან.

## ნოდარ ნათაძე:
### «მთავარია მოვერიოთ ჩვენს მონურ ფსიქოლოგიას



...დღეს არც ერთი ნორმალური ადა... არ ფიქრობს, რომ პროექტი ცალსა...რგია, არც ისინი ვისაც ხელის მოწერა და არც მისი მიღება — დამტკიცების ...ნააღმდეგენი. თუ პირველნი აღნიშნა...რომ ხელშეკრულებას ორმოცი მინუსი ...და სამოცი პლუსი, მეორეებს, და მათ ...ს მეც, მიმაჩნია, რომ შეფარდება პი...იაა, უფრო მეტიც, პროექტს დადები...თლოდ 20—30 პროცენტი აქვს.

...მ ციფრების გაშიფვრით, არ გვჭირდე...ის გაგება, რომ დღეს თუ რუსეთის აგრესიული დამოკიდებულება უკანონო იყო, პროექტის ხელის მოწერის შემთხვევაში, მათი მოქმედებები საქართველოში, და კერძოდ აფხაზეთში, იურიდიულ სახეს იღებს ანუ რუსეთი ღებულობს პლაცდარმს თავისი იმპერიული, ავი ზრახვების ხორცშესასხმელად. ამავე დროს რეალური სიტუაციიდან გამომდინარე ისახება პერსპექტივა დემოგრაფიული საფრთხისა — რუსეთის ხელშეწყობით აფხაზეთი უმოკლეს დროში დაიცალოს ქართველებისაგან და აქ,

დასასრული მე 2 გვ.

## ვახტანგ ხმალაძე:
### მეტნაკლებად დამნაშავე ყველა ვართ



— ხელშეკრულების ასეთი ტექსტი პირადად ჩემში შეურაცხყოფისა და უმწეობის გრძნობას იწვევს. ბუნებრივია, გვებადება კითხვა, რატომ მივედით აქამდე, რა იყო ამის ძირითადი თუ მცირე მიზეზები?

ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ ღია ომის გამოცხადების გარეშე აფხაზეთში რუსეთი გვეომებოდა. მიუხედავად ამისა დარწმუნებული ვარ შეგვეძლო შეგვექმნა ისეთი ვითარება, რომ ეს მდგომარეობა თავიდან აგვეცილებინა, თუმცა რუსეთი შეეცდებოდა სხვადასხვა მეთოდებით და ხერხებით მაინც იგივე გაეკეთებინა. ამაზე მეტყველებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების მთელი იმპერიული ისტორია. არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას ცარისტული იყო, კომუნისტური თუ დღევანდელი — დემოკრატიული. ცხადია, ამ უკანასკნელ სიტყვას, ბრჭყალებში ვსვამ, რადგან იგი ძალიან შორს დგას მასში ჩადებული შინაარსისგან. ეს საკითხის ერთი მხარე... მეორე მხრივ რუსეთი ერიდება საქართ... ...რდაპირ ანექსიას. ამ უთანასწორ...

# საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

...ქართველოს სახალხო ფრონტი ის პოლიტიკური ორგანიზა...რომელიც საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის ოქტომ...ემბრის არჩევნების შედეგად შექმნილ უზენაეს საბჭოში ...ე ადრე და ყველაზე თანმიმდევრულად უპირისპირდე...-წ. „მრგვალი მაგიდის“ პარტიათაგან შემდგარ საპარ...ო უმრავლესობის პოლიტიკის რიგ მომენტებს, რომელ...უნის ინტერესებისათვის საზიანოდ მიიჩნევდა. სახალხო ...მი ...ცის, რომ მთელი რიგი შეუფერებელი პიროვნებე...ულ საქართველოს ხელისუფლებაში, მათ შორის ბა...ნგიზ სიგუასიც „მრგვალი მაგიდის“ გადაწყვეტილებით ...მისი მიერვე დაინიშნა გვარდიის ხელმძღვანელობა, ბ-ნ ...კიტოვანის ჩათვლით, რომელთანაც ხელისუფლებას ...ში ტრაგიკული კონფლიქტი მოუხდა. საქართველოს სა...ფრონტს მცდარად მიაჩნია „მრგვალი მაგიდის“ პარტი...ვალი თეზისი, რომელიც მათ დღევანდელ პოლიტიკაში ...რებს და საზიანოდ მიაჩნია მრავალი ნაბიჯი, რომელ...პარტიები დგამენ. მაგრამ სახალხო ფრონტს დაუშვებლად მიაჩნია „მრგვალი მაგიდის“ პარტიათა მიერ მოწყობილ არასანქცირებულ მიტინგების დარბევის პრაქტიკა, რასაც სამწუხაროდ სისტემატური ხასიათი აქვს, კერძოდ:

ა) მიტინგების წინააღმდეგ შეიარაღებული მუშაკების გამოყვანა

ბ) უფორმო შეიარაღებული პირების გამოყვანა

გ) მომიტინგეთა ცემა, განსაკუთრებით-ქალებისა

დ) მომიტინგეთა წინააღმდეგ (ზოგ შემთხვევაში) ძაღლების გმოყენება.

როგორც ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი და ამავე დროს ადამიანის პიროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი და როგორც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დამცველი ზეპარტიული მოძრაობა, საქართველოს სახალხო ფრონტი თავის მოვალეობად თვლის საზოგადოების წინაშე განაცხადოს შემდეგი: საქართველოს დღევანდელი აღმასრულებელი ხელისუფლების ზემოხსენებული პრაქტიკა შეუთავსებელია ადამიანისა და მოქალაქის ღირსებასთან, მაშასადამე, ჯანსაღი საზოგადოების და ძლიერი სახელმწიფოს აგების ინტერესებთან ვინაიდან დემოკრატია და ადამიანის ღირსების დაცვა ძლიერების წყაროა და არა სისუსტის. მოქალაქის მიერ კანონის დარღვევას არასანქცირებულ მიტინგის მოწყობის ჩათვლით ეკუთვნის აღკვეთა პოლიციის მიერ, მაგრამ მხოლოდ კანონიერ ფორმებში. საქართველო ვერ იქნება სოციალურად გამართული, სამართლებრივი და კეთილდღეობიანი ქვეყანა, თუ თვალის ჩინივით არ გავუფრთხილდით ადამიანის ღირსებას და სამართლიანობას, როგორც აბსოლუტურ ღირებულებებს და იგი ვერ დაიცავს თავის სახელმწიფოებრივ ინტერესებს, უცხო ქვეყნებისაგან თავის დაცვის ჩათვლით, თუ რიგით მოქალაქეს არ ექნება ჩვენს ქვეყანაში მისი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის გარანტია. არსებული პრაქტიკა ჩვენს ცხოვრებაში კომუნისტურ-ფაშისტური ტერორის აღდგენის გზაა და თუ მას განვითარება ახლავე არ აღვუკვეთეთ, ერის სრულ მორალურ და პოლიტიკური დეგრადაციის საშიშროებას შეიცავს. სახალხო ფრონტს ეჭვი არ ეპარება, რომ უახლოეს მომავალში ზემოხსენებული დარღვევების ყველა შემთხვევა, ისევე როგორც 1991—92 წლების მანძილზე მიტინგებისათვის ცეცხლის გახსნის ყველა შემთხვევა, სასამართლო განხილვის საგანი გახდება. მაგრამ თავს უფლებამოსილად თვლის დღესვე, რომ ზემოაღნიშნულ დანაშაულებაზე პასუხისმგებლად ჩათვალოს საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მთელი იერარქია, სახელმწიფოს მეთაურით დაწყებული და რიგით შემსრულებლით დამთავრებული. სსფ მთელი კატეგორიულობით მოითხოვს სახელმწიფოს მეთაურისაგან ბატონ ე. შევარდნაძისაგან, გაემიჯნოს ამ დანაშაულებრივ პარაქტიკას და მის ხელთ არსებული ყოველი უფლება გამოიყენოს დამრღვევთა დასასჯელად.

დასასრული

მათ ნაცვლად, ჩრდილო კავკასიელები, აფხაზი მუჯახირები და თვით რუსები დასახლდნენ. აი ეს არის მთავარი, ძირითადი ხიფათი, რომელიც გვემუქრება თუ კი ჩვენ ამ პროექტს მივიღებთ.

რაც შეეხება დადებით მხარეს, ეს არის ომის, სისხლის ღვრის შეწყვეტა. ეს თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ, მანამდე, სანამ არ იქნება გარანტია, რომ პროექტში ჩადებული მექანიზმი იმუშავებს, ჩვენ წამგებიან პოზიციაში ვიქნებით და საქართველოს მთლიანობისთვის დაღვრილი ქართველთა სისხლი ამაო იქნება.

**— ხომ ვერ დაგვისახელებთ იმ კონკრეტულ დამნაშავეებს, რომლებმაც ქვეყანა ასეთი ალტერნატივის წინაშე დააყენეს?**

— ძირითადი მიზეზი ჩვენს ისტორიაში უნდა ვეძებოთ, რომელიც ლალატითაა გაჟღენთილი. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, აქ ღალატის გზა მიდის არა ჰორიზონტალურად, არამედ ვერტიკალურად. თუმცა მე არ შემიძლია იმ მოღალატეთა დასახელება, არა იმ მიზეზით რომ ვინმესი მეშინია, — არ ვიცი.

ჰო ცარიელი ადგილია. ბუნებრივია ისმის კითხვა: საიდან მოვიყვანოთ უკეთესი კადრები? ისინი უნდა შევარჩიოთ საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებიდან, ან მათი რეკომენდაციით. იმ პირობით, რომ ისინი იყვნენ ქვეყნის ნამდვილი გულშემატკივრები, პატრიოტები, არ იყვნენ გარეულები მაფიოზურ კლანებში. მე დარწმუნებული ვარ ქართველ ხალხში, ქართველ ინტელიგენციაში, საკმაოდაა ასეთი ძალები და თუკი მას მოვიზიდავთ მთავრობაში, ისინი თავს გაართმევენ სიძნელეებს, გამოიყვანენ ქვეყანას მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან.

რაც შეეხება შევარდნაძის პერსპექტივას, მისი მოქმედება (გარდა რუსეთისა) ჩვენთვის ხელსაყრელია. იგი ამ მისიას ვერ შეასრულებს სახელმწიფო მეთაურის რანგის გარეშე, თუმცა მისი მოქმედება არ უნდა სცილდებოდეს საგარეო პოლიტიკას. შინაგანი პოლიტიკა უნდა მართოს მთავრობამ. ცხადია, ვიმეორებ, არა ამ მთავრობამ, რომელიც უფსკრულისკენ მიგვაქანებს.

სწორედ ეს უნდა გამოგვეყენებინა. მე ვფიქრობ, რომ სწორედ აქ დავუშვით სერიოზული შეცდომები. ეს ითქმის, როგორც გამსახურდიას მთავრობაზე, ისე შარშან არჩეულზე.

უპირველესად უნდა გვეზრუნა ჯარის შექმნაზე. მე მხედველობაში მაქვს არა ის ადამიანები, რომლებსაც იარაღი უჭირავთ, არამედ კლასიკური გაგებით, ჯარი, რომელიც კარგადაა გაწვრთნილი, შეიარაღებული და რაც მთავარია მკაცრ დისციპლინას ემორჩილება.

სამწუხაროდ ხელისუფლების ორივე დროის წარმომადგენლები ყოველთვის იმით იმართლებდნენ თავს, რომ-არეული პერიოდიაო.

**— კონკრეტულ დამნაშავეებსაც ხომ არ დაასახელებდით?**

— მეტნაკლებად დამნაშავე ყველა ვართ.

ანს იმ ქვეყანაში ეშინია დასჯის, სადაც ასეთი დამრღვევები უმცირესობაა, [illegible] ამ როლში დიდი მასა [illegible], რეპრესიები აღარ მოქმედებს. მხოლოდ თვითმკურნალობამ უნდა გვიშველოს.

**— ბატონო ვახტანგ, და მაინც, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.**

— ბუნებაში ხშირად ხდება, რომ უკულმა გადაგდებული მარცვალი წალმა ამოსულა. ამის იმედიც უნდა გვქონდეს. უფრო რეალურად, დადებით მხარედ ჩაითვლება ის, რომ ხელშეკრულების შედეგად შევინარჩუნებთ იმ ადამიანების სიცოცხლეს ვინც ამის გარეშე დაიღუპებოდა. ამავე დროს რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, მე დადებითად მივიჩნევ იმასაც, რომ საქართველო იძულებული ხდება მოაწეროს ხელი ამ ხელშეკრულებას. იქნებ ეს შეურაცხყოფა გახდეს იმის ნიშანი

# ნოდარ ნათაძე: მთავარია მოვერიოთ ჩვენს მონურ ფსიქოლოგიას

რაც შეეხება ამ ვითარების კავშირს პოლიტიკასთან, ზოგადად, საქართველოს ხელისუფლების საქმიანობა, შეიძლება შეფასდეს სამ განსხვავებულ პუნქტად.

პირველი: საქართველოს საგარეო პოლიტიკა, რუსეთის გამოკლებით, არის ბრწყინვალე შემოქმედებითი, წარმატებითი და ინიციატივიანი.

მეორე: საქართველოს დამოკიდებულება რუსეთთან აგებულია შიშზე და იმაზე, რომ არც ერთ საკითხში არ დავუპირისპირდეთ, ეს ჩვენთვის კაპიტულანტური და წამგებიანია.

მესამე: ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკა არის უაღრესად ზადიანი, მცდარი და სუსტი.

მე მეშინია, რომ თუ ასე გაგრძელდა, ჩვენში, რასაკვირველია რუსეთის ხელისშეწყობით, არ დაიწყოს სამოქალაქო ომი. სამწუხაროდ, ეს საფრთხე რეალურია, თუმცა საამისოდ ობიექტური მიზეზი არ არსებობს, იგი უფრო სუბიექტურ ხასიათს ატარებს და გამოიხატება იმაში, რომ ჩვენში ბევრი ძალიან სულელი და უგუნური ადამიანია, რომელთა სიტყვა და მოქმედება ვერ ეტევა ნორმალური ქმედების ფარგლებში.

სავარაუდოა რომ აღნიშნული პათოლოგიური ფსიქიკის ადამიანთა ერთმა ნაწილმა ახალი ენთუზიაზმით აიტაცოს ლო[illegible] ძირს შევარდნაძე, რომელმა[illegible] მოგვაგებინა, აფხაზეთში და სა[illegible]ლოში ჩვენი ინტერესები დათმო. გ[illegible]მარჯოს გამსახურდიას. არანაკლები არგუმენტები ექნებათ მათ ოპონენტებს. ისინი გაიხსენებენ გამსახურდიას უუნარობას და მის დამღუპველ, როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკას. ამავე დროს წინ წამოსწევენ შევარდნაძის დადებით მხარეებს, მის მსოფლიო ავტორიტეტს. ქართული რადიკალიზმის ამ თვისებამ ჩვენ უკვე საკმაოდ მოგვიტანა სისხლის ღვრა და ნგრევა, თუ კიდევ განმეორდა, მას შეიძლება ერის კატასტროფა მოჰყვეს.

რა უნდა ვიღონოთ საამისოდ, რომ ეს საშიშროება ავლკვეთოთ? საქართველოში უნდა შეიქმნას ძლიერი, გონიერი მინისტრთა კაბინეტი და საბჭო, რომელიც დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებებს და არა ისე, თუ რას ფიქრობს, ამა თუ იმ საკითხზე, სახელმწიფოს მეთაური, ან თუნდაც პარლამენტი, ჩვენ გვინდა მთავრობა, რომელსაც ყველანაირი უფლებამოსილება ექნება აწარმოოს რეალური პოლიტიკა.

დღეს, სამწუხაროდ, მინისტრთა საბ-

**— ბატონო ნოდარ, მე მინდა ისევ ქართულ-აფხაზურ ხელშეკრულებას დავუბრუნდე. ნუთუ გაეროს არა აქვს რეალური ძალა, რომ რუსეთის ძალმომრეობისგან დაგვიცვას?**

— გაერო არის თვალი, ობიექტივი, რომელიც მუდმივად გვითვალთვალებს. ყურადღებას არ გვაკლებს. ისინი რუსეთს, ჩვენი კიდევ ერთხელ დაპყრობის საშუალებას არ მისცემენ. თუმცა ჩვენი დასავლელი მეგობრები არცთუ იშვიათად გვეუბნებიან — თქვენი თავი უპირველესად თქვენ უნდა დაიცვათ და მხოლოდ მაშინ შეგვეძლება მხარში ამოდგომაო.

**— ერთი სიტყვით, ღმერთისა არ იყოს — გაანძრიე ხელი და გიშველიო? გამოდის რომ, ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უდიდეს, უხეშ ძალას, რუსეთის სამხედრო პოტენციალს უნდა დავუპირისპირდეთ?**

— გაერომ ეს ჩვენზე უკეთ იცის და სწორედ მათი ძალის გათვალისწინებით გვაძლევს რეკომენდაციებს. აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ რუსეთი აღარ არის ის ძალა, რომელიც მსოფლიო პროცესებს მართავდა. დღეს პირიქითაა, ცხადია, რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, მსოფლიო მართავს რუსეთს.

**— თქვენს ამ სიტყვებს ბევრი, ალბათ ოპტიმისტურად შეხვდება, მაგრამ ოპონენტებიც საკმაოდ გეყოლებათ. რას გვეტყვით ისეთ საიმედოს, რომ ორივე მხარემ ერთნაირად აღიქვას?**

— ასეთი მზარმზარეული რეცეპტი, იმის გარდა რაც მოგახსენეთ, მიჭირს მოვიგონო, ერთ რამეს კი ვიტყვი: პრაქტიკულად გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. მთავარია მოვერიოთ ჩვენს მონურ ფსიქოლოგიას. მტერს (ამ შემთხვევაში რუსეთს) იმაზე მეტად არ უნდა დავუხაროთ თავი, ვიდრე ამას ობიექტური მიზეზები გვაიძულებს.

ამას წინათ შევესწარი, ერთი საკმაოდ დიდი თანამდებობის პირი, როგორ მოწიწებით აბარებდა ანგარიშს პასტუხოვს ზემოთ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე. თავს იმართლებდა ჩვენ ვმუშაობთ მოსახლეობაში, მაგრამ ისინი ამა და ამ პუნქტს არ იღებენო. იმის მაგივრად, რომ ეთქვა — ჩვენ ესა და ეს პუნქტი არ გვინდა და საერთოდ — ნუ ეწევით ჩვენს მიმართ ხელების გადაგრეხვის პოლიტიკასო.

ასეთმა მონურმა პოლიტიკამ თუ არ დაგვძლია, საქართველო, არა მარტო გადარჩება, მალე მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მხარდამხარ ივლის.

# ვახტანგ ხმალაძე: მეტნაკლებად დამნაშავე ყველა ვართ

მთავრობაც, პარლამენტიც სახელმწიფოს მეთაურიც, თვითონ ხალხიც კი. ყველა იმდენადაა დამნაშავე რამდენის კომპეტენციაც ჰქონდა. დავიწყოთ პარლამენტით, რომლის წევრი მეც ვარ. თუ მას არა აქვს რწმუნება შექმნას ჯარი, ის ხომ მაინც შეუძლია დანიშნოს ან გაანთავისუფლოს, ვთქვათ თავდაცვის მინისტრი, ან ის ვისაც ჯარის მომარაგება ევალება. რა უნდა ვთქვათ იმაზე, რომ მიმდინარეობს ომი და, ქაღალდზე — საბუთების მიხედვით, სოხუმში, როგორც მოქალაქეებისათვის, ისე სამხედრო პირებისათვის, იმდენი ზეთი ჩაუტანიათ, თითო კაცს ოცი ლიტრი მაინც უნდა რგებოდა. არადა, ეს ზეთი არსად არა ჩანს.

ახლახან გავიგე ერთი დაუჯერებელი ფაქტიც: ერთ-ერთმა სახელმწიფო ორგანიზაციამ დამალა შემოსავლის გადასახადი, რომელმაც ჯარიმისა და საურავის შემდეგ 19 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს დაახლოებით უდრის ჩვენს საბიუჯეტო დეფიციტს, სამასი მილიარდი კუპონის, მესამედს. სამწუხაროდ საქართველოში არაა ორგანიზაცია სადაც კონტროლის პალატის წარმომადგენლები შევიდნენ, და მსგავსი დარღვევები არ აღმოჩნდა.

ამას აკეთებენ ჩვენი ქართველი მოქალაქეები, რომელთა უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს, რომ ფეხზე დააყენონ თავისი სამშობლო. ხელი შეუწყონ მისი თავდაცვის უნარიანობის გამტკიცებას. კვერცხზე გაკიდულებს არ ანაღვლებთ ის ქათამი, რომელსაც ვკარგავთ.

**— რას აკეთებს პარლამენტი, რომ ეს დანაშაულებანი გამოავლინოს?**

— ეს საქმე სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებს ეხებათ, მაგრამ სამწუხაროდ, ისინიც უძლურნი არიან, იმდენად დიდია დანაშაულებათა რიცხვი, რომ ქვეყნის ნახევარი ალბათ მაკონტროლებელი უნდა იყოს. აქვე არც ის უნდა დავივიწყოთ, რამდენი დამნაშავეა თვითონ სამართალდამცავ ორგანოებში.

**— თქვენ ცოტა ზემოთ დამნაშავეთა შორის ხალხიც ახსენეთ...**

— მოდით, ერთად გავიხსენოთ ის დივერსიები, რომლებიც ხალხმა, რიგითმა ადამიანებმა, ჩაიდინეს. რომელი ერთი ვთქვათ — ხიდებისა თუ ელექტრო ანძების აფეთქება. ტერორი თუ ბანდიტიზმი. იმ დროს, როცა აფხაზეთში ტყვია წამალი უჭირთ თბილისში ზალპებისა და კანონადების ხმები არ გვაძინებს. დანაშაულის გარკვეული და საკმაოდ გვარიანი ნაწილი ხომ ჩვენ თვალწინ ხდება. სანამ ყველა ქართველი ვერ გაისიგრძეგანებს რა უბედურებაც გვჭირს მანამდე შეუძლებელი იქნება განვიკურნოთ

**— ბატონო ვახტანგ, გეთანხმებით რომ ადამიანთა უმეტესობა უარესობისკენ გამოვიცვალეთ მაგრამ აქამდე ხომ იძულებით მიგვიყვანეს. ეს პრობლემა უპირველესად სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს?**

— სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს რომ ადამიანები მოვიდნენ იმ აზრამდე რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. შეუძლებელია ყოველივე ეს რეპრესიებით მოაგვარო და დაარწმუნო ისინი უკანონო ქმედებაში. ადამივილაცეებისთვის, რომ ქართული ზერელეობით და უდარდელობით სადამდე მივედით. დააფიქროს რა გვჭირს. უბიძგო ხალხს ავაშენოთ სახელმწიფო, შევქმნათ ჯარი, არ ვიპაროთ.

ხომ არის უარყოფითი სტრესი დადებით შედეგებს რომ იწვევს.

მე ძალიან იშვიათად ვეთანხმები ჯაბა იოსელიანს, მაგრამ ამჯერად ძალიან მომეწონა მისი ნათქვამი: ამ ომმა აფხაზეთში მყოფ ქართველებს გააგებინა, რომ ისინი ქართველები არიან და ეს მოგებად მიმაჩნიაო. ამ სიტყვებში დიდი ჭეშმარიტებაა, რამდენჯერ ვყოფილვარ სოხუმში, ოჩამჩირეში, გაგრაში და რა იშვია თად გვიგრძნია ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის ქართველობა. ეს დღეს მათ ნამდვილად იგრძნე იმედი მაქვს თუ დოყლაპიურად არ მოვიქცი ჯერ კიდევ ყველაფერი არაა დაკარგული:

კიდევ ერთი რამის იმედი მაქვს. პროექტ ბევრი რამე არაა ცალსახად ნათქვამი. დროთ განმავლობაში იგი დავის საგანი გახდება, გა მარჯვება იმაზე იქნება დამოკიდებული სამართლისა თუ უსამართლობის მხარეზე რა ძალ იდგება. ისე რომ წინასწარ თქმა ხელშეკრულების კრახით დამთავრებაზე სწორი არ იქნე ბა. პროექტში ბევრია ისეთი პუნქტი, რომე ლიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ერთ მაგალითს მოვიყვან. აქ ნათქვამია, რომ მხარე ებმა უნდა აღადგინონ და უზრუნველყო მთავრობის ნორმალური მუშაობა, აქ უპირ ველესად იგულისხმება უზენაესი საბჭო, რო მელმაც სისხლისღვრამდე-განადგურებამდ მიიყვანა საქმე. საერთაშორისო და ჩვენი კ ნონებითაც ხელისუფლება, რომელიც არათ იცავს თავის ხალხის ინტერესებს, გამომწვევ ომისა და უზარმაზარი მსხვერპლისა და ნგრ ვისა. არა მარტო არ შეიძლება კანონიერ ჩაითვალოს, პასუხიც კი უნდა აგოს. ყოვე შემთხვევაში ხალხს უფლება აქვს ასეთი ხელ სუფლება გადააყენოს. საკითხის დასმა სხვა ვაირადაც შეიძლება. იყო კი კანონიერი უზენაესი საბჭო, რომელიც აპარტეიდული ს შუალებით აირჩიეს.

**— ხომ არ დაემსგავსება აფხაზეთი სამაჩა ლოს? მიმიხვდით ალბათ, რასაც ვგულისხმო**

— ცხინვალში, ყორნისის და ჯავის რა იონებში ჩვენი ხელისუფლება არ ხორცი ლდება და ის, რომ აფხაზეთი სამაჩაბლო დაემსგავსოს ნაკლები შანსია. ამის იმე იმიტომ მაქვს, რომ ზემოთ აღნიშნული რ გიონები ომამდე ფაქტობრივად დაცლი იყო ქართველებისაგან, რასაც ვერ ვიტყვ აფხაზეთზე. აქ ქართული მოსახლეობა იღ და იცავს თავის მიწა-წყალს და არც მიატ ვებს იქაურობას. მათ ძალა და სულიკვეთ ბა უფრო მაღალი აქვთ.

და ბოლოს, ერთსაც ვიტყვით. მე არ ვ ყველა ის მიზეზი, რომლის გამოც მოგვი პოზიციების დათმობა ამ შეთანხმებაზე ლის მოწერა, ამდენად მიჭირს, ხელაღებ ცალსახად ვთქვა რომ ეს იყო დანაშაუ შესაძლებელია ამ სიტუაციაში მხოლოდ იყო ერთ-ერთი და სწორი გადაწყვეტილ

ესაუბრ

ჯემალ ქასრაძ

# გუდაუთური არდადეგები

ზაფხულში, არდადეგებზე მოსწავლეთა უმეტესობა თუ ბებია-ბაბუებთან სოფელში მიაშურებს ხოლმე, 15 წლის მამუკა მამულაშვილმა ომში წასვლა არჩია, მამას გვერდში უნდა დავუდგეო. და აი მოგეხსენებათ, ერთ-ერთი შეტაკებისას იგი აფხაზებმა ტყვედ ჩაიგდეს და ამის შესახებ ლამის მთელმა მსოფლიომ გაიგო.

გადავწყვიტეთ სახლში დაბრუნებული მამუკა უფრო ახლო გაგვეცნო, მაგრამ ეს არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა, ინტერვიუს ასაღებად რიგში ჩადგომამ მოგვიწია. ყოფილ ტყვეს ტელე-კორესპონდენტები ესაუბრებოდნენ.

ლუკმა გავარდეს ჯამში ჩავარდესო. დედამისს ქალბატონ მარიკას გამოველაპარაკეთ.

— მიჭირს იმ გრძნობის სიტყვით გამოხატვა რაც ჩვენმა ოჯახმა განიცადა, როდესაც გავიგეთ რომ ზურაბი და მამუკა აფხაზებმა ტყვედ ჩაიგდეს. არადა, თუ დამიჯერებთ ჩემი შვილი მანამდე ერთი კვირაც კი არასოდეს მომცილებია. ჩვენს ტანჯვა-წამებას ამძაფრებდა აფხაზეთის იქითა მხრიდან მოსული ჭორ-მართალი, ამდენი და ამდენი ქართველი ტყვე დაიხვრიტაო. აბა რა გარანტია გვქონდა რომ მათ შორის ჩემი ქმარ-შვილიც არ იყო. სახლში ადგილს ვერ ვპოულობდი. ოდნავ მაიმედებდა რომ მამუკას გასანთავისუფლებლად ძალიან ბევრი კომპეტენტური პირი და მათ შორის ბატონი ნოდარ ნათაძეც იყო ჩაბმული.

— ქალბატონო მარიკა, მაპატიეთ სიტყვას გაწყვეტინებთ, თქვენ არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი ვინც მცირეწლოვანი შვილი ომში გაუშვა, მაგრამ ალბათ ყველა შემთხვევაში როგორი მაღალი იდეალებითაც არ უნდა იყოს ნაკარნახევი, ბავშვის ფრონტზე გაშვება გაუმართლებელია.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ პირველად ჩემს ცხოვრებაში ვერ მოვერიე. მამუკას, ვერაფრით ვერ გადავაფიქრებინე — მამიკოს გვერდით უნდა ვიყო ომში და უნდა დავიცვაო. აქ საქმე ისაა, რომ ზურაბმაც დაუჭირა მხარი, თუმცა აფხაზეთში წასვლის წინა ღამეს შევთანხმდით რომ მამუკა თბილისში დარჩებოდა. ეს გადაწყვეტილება რომ მამუკას ვუთხარით, მთელი ღამე იტირა. იძულებული გავხდით მის ნებას დავმორჩილებოდით.

აფხაზეთიდან ზურაბი თითქმის ყოველდღე მირეკავდა, მამშვიდებდა-კარგად ვართ, საომში არაფერიაო. ხუთ ივლისს დილით, მოგეხსენებათ, სოხუმის ჰიდროელექტრო სადგურის დაცვის დროს 16 ქართველი, მათ შორის ზურაბი და მამუკაც, ჩაიგდეს ტყვედ, იქნებ ამას ხსნა განმარტება არც სჭირდება ჩემი მთელი ფიქრები მამუკას დასტრიალებდა. მაგრამ საკმარისი იყო ტყვეობიდან განთავისუფლებული მამუკა თბილისში თვითმფრინავის ტრაპზე დამენახა, რომ მთელმა დარდმა ერთბაშად მეუღლისკენ გადაინაცვლა...

ტელე-ჟურნალისტების „ტყვეობიდან“ თავდახსნილი მამუკა, ამჯერად ჩვენ ჩავიგდეთ ხელში.

— მამუკა, ომში შენზე გაცილებით უფროსები და გამოცდილები მიდიან. ისინი ვინც სროლა იცის და ფიზიკურადაც ძლიერია. აი შენ კი...

— ფიზიკურად სუსტი არც მე ვარ, ჩოგბურთში ვვარჯიშობ

— არ გეშინოდა ომის დროს?

— ცოტა კი მეშინოდა, მაგრამ ისე არა რომ ზურგი შემექცია და სახლში ყოფნა მენატრა.

— შენ გარდა კიდევ თუ იყვნენ სხვა ბავშვებიც?

— ხუთნი, მაგრამ ისინი პატარები იყვნენ, ტყვედ არ აუყვანიათ. ორი მათგანი ჰიდროელექტროსადგურის დირექტორის ცხვარაძის შვილები იყვნენ. იმ დილით ცხვარაძე მტრის მიერ გასროლილმა ორმა გამჭოლმა ტყვიამ მოკლა, სანამ სულს დალევდა დაგვიძახა ალყაში ხართ და დანებდითო. მე მგონი, მას უფრო იმის ეშინოდა რომ ბავშვები არ დახოცილიყვნენ. დატყვევების შემდეგ გუდაუთის მილიციაში მიგვიყვანეს. მე და მამაჩემი ერთად ჩაგვსვეს კამერაში დანარჩენები „გაუბახტში“ დაამწყვდიეს.

— როგორ მოხდა რომ აფხაზის ოჯახში გადაგიყვანეს?

— კამერაში ერთი კვირა გავატარე. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე დამკითხეს, აინტერესებდათ შრომაში რომელი ადგილები იყო დანაღმული. რაც შეეხება ოჯახში გადაყვანას საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა მოითხოვეს. აფხაზი მეომრის ოჯახი იყო. დედა და და. აქ რვა დღე ვცხოვრობდი.

— როგორ გექცეოდნენ ოჯახში და გაქცევაზე თუ ფიქრობდი?

— კარგად. არ მზღუდავდნენ. ეგაა რომ პური არ იშოვებოდა და ღომი ყელში ამომივიდა. შემეძლო ტელევიზორი ჩამერთო. სხვათაშორის ერთ დღეს ადგილობრივი ტელევიზიით აჩვენეს აფხაზთა მხარეს გადასული ვიღაც თბილისელი, ახალგაზრდა კაცი, რომელიც ზურგით იჯდა. შეიძლება მომეჩვენა კიდეც, ოსური აქცენტით ლაპარაკობდა — აფხაზები მართლები არიან და მათ მხარეს უნდა ვიბრძოლოთო. ამ თავის სიმართლეზე ჩემი ახალი „ოჯახის“ წევრებიც ხშირად ჩამჩიჩინებდნენ.

რაც შეეხება გაქცევას ამის შესახებ ბევრს ვფიქრობდი.



ოჯახში მიყვანის მესამე დღეს შუაღამისას ფანჯრიდან გადავპარე კიდეც. (პირველ სართულზე ვცხოვრობდით) ქუჩას გაურკვეველი მიმართულებით დავუყევი, ცოტა ხნის შემდეგ ისევ შევიპარე ოთახში მასპინძლებს არაფერი გაუგიათ.

— ოჯახში ყოფნისას მამას თუ შეგახვედრეს?

— კი. ერთხელ მილიციაში მიმყვანეს და მარტო დაგვტოვეს სულ ათ წუთამდე ვისაუბრეთ. მამა მამშვიდებდა — ნუ გეშინია ყველაფერი კეთილად დასრულდებაო. ერთი ორჯერაც იმიტომ წამიყვანეს რომ სიენენს და ადგილობრივ ტელევიზიასაც გადაეღო — მათი ძირითადი კითხვა ის იყო, კარგ[illegible] ცევიან თუ არაო. [illegible] წლ[illegible] ჯინჯოლიაზე რომ გად[illegible] აფხაზმა ჟურნალისტმა[illegible] — გული არ გწყდება რომ აქედან მიდიხარო. რას ვეტყოდი? მათვე, ჩვენების მხარეს რომ გადავდიოდი, მთხოვეს — გამოსამშვიდობებლად ხელი დაგვიქნიეო.

— კიდევ წახვალ ომში?

— რა ვიცი, ვნახოთ, გაეღიმა ყოფილ ტყვეს.

სულ ახლახან აფხაზეთში მებრძოლმა გელაშვილმა ტელევიზიით მოგვითხრო ერთი საგულისხმო ფაქტის შესახებ. როდესაც ქართველებმა ტყვედ ჩავარდნილი აფხაზი ქალიშვილი ყოველგვარი გაცვლის გარეშე უვნებლად გაანთავისუფლეს. ამ კეთილშობილური მოქმედების სამაგიეროდ აფხაზებმა 40 ქართველი გაიყვანეს სამშვიდობოსო.

დღეს, როდესაც დიდი ხელშეკრულება მზადდება აფხაზურ-ქართული ომის დასამთავრებლად, ზემოთ აღნიშნული ფაქტები იმედს გვინერგავს რომ ამ ორი ძირძველი ერის შერიგება მთლად უიმედო არაა, რომ ჩვენს გენეტიკურ კოდში ისტორიის ანალიზში [illegible] ისეთი, რაც [illegible] ხალხს გაახსენებს, რომ ჩვენ ნათესავები ვართ და ერთი სამშობლო გვაქვს.

ჯემალ ქასრაძე

# ვითარება ცხინვალში

## ისევ ქართველებს ბრალდებათ

როგორც მოსალოდნელი იყო იმ სისხლიანი შეტაკების მიზეზად, რომლებმაც ცხინვალში საერთო ჯამში ოცდაათამდე ოსის სიცოცხლე შეიწირეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებმა ქართველები დაასახელეს. მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერს ამ ვითომ რესპუბლიკის ეროვნებათა საქმეების კომიტეტი ნათქვამია „მტერი მტრომ არის მტერიო რომ იგი ვერაგი უნდა იყოს. გაიხსენეთ საქართველოს მაღალჩინიანი „მამის“ სიტყვები — სამხრეთ ოსეთს არ უნდა ეომო, იგი შიგნიდან უნდა ააფეთქო“.

კიდევ უფრო ნათლად გამოხატა სათქმელი ცხინვალის შინაგან საქმეთა სამმართველოს პრესსამსახურმა, რომელიც თავის თავს სამინისტროს უწყებად იხსენიებს. ისინი აცხადებენ, რომ ის ბანდიტები; რომლებიც 17 ივლისს გაანადგურეს სოფელ ფრისთან — დაკავშირებულნი იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის დამნაშავეთა სამყაროსთან. მათგან იღებდნენ საბრძოლო მასალებს, ასაღებდნენ ნაძარცვს. გვაქვს დადასტურებელი ცნობები იმის შესახებ, რომ ბანდის ხელმძღვანელები არა ერთხელ შეხვდნენ ქართულ ექსტრემისტული ძალების წარმომადგენლებს, რათა დაეგეგმათ ქალაქის (ცხინვალის) ერთობლივი აღება, მათთვის არახელსაყრელი ადამიანების განადგურება“.

აი ასე ყველაფერში ქართველები ვართ დამნაშავე. ოსები ერთ რამეს არ მალავენ. ისინი აცხადებენ რომ როგორც ომონელები ისე ის ხალხი, ვინც ფრისთან განადგურდა სულ ცოტა ხნის წინათ ერთად იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ და „მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ერის ისტორიაში“ შემდეგ კი იწყება სიცრუისა და ცილისწამების ნიაღვარი. არავის უნდა სთქვას, რომ 23 წლის გ. თუაევი ბანდის უფროსი, ბოლო ხანებში ზედმეტად გააქტიურდა და ერთად მოპოვებული გამარჯვებიდან უფრო მეტ წილს სთხოვდა თავის აწ უკვე გაუფროსებულ თანამებრძოლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმუქრებოდა ისინი სააშკაროზე გამოეყვანა. ერთხელ ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლაც მოითხოვა ჰოდა რაკიღა მასთან მორიგება არ მოხერხდა იგი ისე დააშოშმინეს, როგორც საერთოდ ბანდიტთა წესია.

დაღვრილი სისხლი კი კვლავ სისხლს მოითხოვს, რაც უცილობლად მოხდება და ისევ ქართველებს დაბრალდებათ.

## 9 მილიარდად შეფასებული ბიჭი

აფხაზეთში უკანასკნელი საექსპედიციო ლაშქრობისას ოს „მეომრებს“ თან ახლდათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის ოლეგ თეზიევის ვაჟი — როგორც საპატიო მძევალი. საქმე იმაშია, რომ ეს ყმაწვილი ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოიტაცეს და ერთ-ერთი ბოევიკის, ეხლა კი ცხინვალის სატყეო კომბინატის დირექტორის ვინმე ჯიოევის ბინაში ჰყავდათ გადამალული. იქ მას დედისერთა შვილივით უფრთხილდებოდნენ, მამიკოს კი შესთავაზეს, რომ უკან დაებრუნებინა ის 9 მილიარდი მანეთი, რომლის მითვისებაც მას ბრალდება. შემდეგ როცა ეს ჯგუფები აფხაზეთში წავიდნენ, ეს ბავშვიც თან წაიყვანეს, რათა მშობელს იგი ზედმეტი ზრუნვისაგან არ დაეხსნა.

იმედია ამ ინფორმაციას ქართველი ხალხი გამოცდილებად არ გამოიყენებს და ჩვენი გამაღატაკებელი მთავრობის ოჯახის წევრებზე „აპეკუნობის“ დაწესება მოდაში არ შემოვა.

რაც შეეხება ოლეგ თეზიევს იგი გზებს არის გაკრული ფულის საშოვრად.

## ოსური პასპორტები ქართულ მიწაზე

კარგად ინფორმირებული პირები ცხინვალიდან იუწყებიან, რომ ცხინვალის ფაქტობრივი ხელისუფლება აპირებს, უახლოეს ხანებში მოსახლეობას დაურიგოს ისევ წითელი ფერის, მაგრამ ამჯერად „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ პასპორტები. ამ ღონისძიების განხორციელებას ისინი იმ რეგიონებშიც აპირებდნენ, სადაც ქართული მოსახლეობა ცხოვრობს.

საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შესძლო ქართული პასპორტების შემოღება, ოსები ამას უკვე აპირებენ — ხომ არ მივავლინოთ სიგუას კაბინეტის წევრები ცხინვალში თეზიევის ხალხთან კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ყოველ შემთხვევაში ჩუმად, მაგრამ შედეგიანად საქმის კეთებას ნამდვილად ისწავლიდნენ.

## ამერიკელებს ახლა ოსები მოძღვრავენ.

როგორც ცნობილი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 30 მილიონი დოლარის დახმარება გამოუყო საქართველოს. ეს ფაქტი [illegible]ელი არ დარჩენიათ ოსებ[illegible] უმეტეს რომ მას ფართოდ გაუკეთეს კომენტარი ჩვენმა ხელისუფლებამ. „სამხრეთ ოსეთის საგარეო კავშირების სამინისტრომ“ მკაცრად დაგმო ფაშისტი ქართველებისათვის ასეთი დახმარების გაწევა და მოუწოდა ამერიკის ადმინისტრაციას „გაითვალისწინოს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების აგრესიული, ანტიჰუმანური ხასიათი და თავი შეიკავოს იმ ნაბიჯებისაგან, რომლებიც საშუალებას მისცემს საქართველოს თავისი მოქმედებები წახალისებულად ჩასთვალოს“.

მოკლედ ამერიკელმა ხალხმა ვერაფრით ვერ აირჩია ჩვენი და

დასასრული მე 6 გვ.

# ხელშეკრულება

ეს სიტყვა, მოკლე პოლიტიკურ ლექსიკონში" განმარტებულია როგორც საერთაშორისო ურთიერთობის ფორმა. ამასთან ნათქვამია სხვადასხვა სახელწოდების მქონეაო, მაგალითად: შეთანხმება, ტრაქტატი, კონვენცია, დეკლარაცია, კომუნიკე. აგრეთვე ორმხრივი და მრავალმხრივიაო. მაგრამ იმ ლექსიკონში არაფერია თქმული ამა თუ იმ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება რა შემთხვევაშია სამართლიანი და როდის არა. იქნებ იმიტომ, რომ როცა ხელშეკრულება ძლიერ და სუსტ პარტნიორებს შორის იდება, უმეტეს შემთხვევაში ძნელი არ არის მიხვდე ვისთვისაა ეს აქტი უფრო მომგებიანი და აქედან გამომდინარე, რამდენად სამართლიანი იქნება ის... ბლეზ პასკალი თავის „აზრებში" წერდა: „სამართლიანობა ხშირად სადავოა და საკამათო, ძალა კი უდავო და უცილობელი, ამიტომ სამართლიანობა ვერ იქნა და ვერ გახდა ძლიერი: ძალა არ სცნობდა მას და ამბობდა, რომ სამართლიანობა — უსამართლოა, და რომ მხოლოდ თვითონაა სამართლიანი. და რაკი სამართლიანობა ვერასდიდებით ვერ იქცა ძალად ხალხმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ძალაა სამართლიანი"... ფრანგი მოაზროვნის ეს შეხედულება, ცხადია, საფუძველს არის მოკ[illegible]ული. სამართლიანობა რომ მრა[illegible]ზის გამხდარა ძალის მსხვერპლი, [illegible]ს მაგალითები მრავლად შემოინახა [illegible]ოფლიოს ისტორიამ, და მაინც ძალის [illegible]ცილობელი გამარჯვება ჯერაც არ [illegible]რწმუნა არცერთმა ხალხმა. და თუ [illegible]ისახლეობის ერთი ნაწილი აღიარებს [illegible]ლის ფაქტორს, მეორე ნაწილი არა[illegible]დეს კარგავს სამართლიანობის გა[illegible]ჯვების იმედს. დარწმუნებული ვარ [illegible]ურთიერთ გამომრიცხავ ქართულ [illegible]ნდაზას „ძალა აღმართს ხნავსო" და [illegible]ერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო" სხვა ერების ზეპირსიტყვიერებაშიც მოეძებნება ანალოგია, რადგან საპირისპიროდ ბლეზ პასკალის დასკვნისა, სამართლიან[illegible]სა და ძალას შორის ბრძოლა ს[illegible]ველთაო მარადიუ[illegible] პროცესია [illegible] სამართლია[illegible]ის გამარჯვება იმ[illegible]ა დამოკიდე[illegible], თუ ისტორი[illegible] თუ იმ ეტაპზე ვინ უპ[illegible]რისპირდებ[illegible] [illegible]ეშ ძალას, რა თვისებე[illegible] ის მატარებელია ის და რამდენად შ[illegible]წევს უნარი ამ მაღალზნეობრივი [illegible]ვალეობის აღსრულებისა. მით უმ[illegible]ს, თუ შერკინებამ მთელი ერის ბედ[illegible] უნდა გადაწყვიტოს...

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მსურს ზოგადად შევეხო ორ ხელშეკრულებას, ბოლო ორასი წლის მანძილზე რომ განსაზღვრეს საქართველოს ისტორიას და კერძოდ იმ ორ პუნქტს ამ ხელშეკრულებებს საბედისწერო ხასიათს რომ ანიჭებდნენ ჩვენთვის.

საქმე „გეორგიევსკის ტრაქტატსა" და რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულებებს შეეხება. ეს აქტები ჩვენთვის დამღუპველი აღმოჩნდა. იმის გამოკვლევა თუ რატომ მოხდა ასე, ამ დოკუმენტების მეშვეობითვე შეიძლება მოხდეს. აზრი კი ამ მცდელობისა ის გახლავთ, რომ ახლა მესამე ხელშეკრულება უნდა დაიდოს და წინაპართა შეცდომების წარმოჩენამ იქნებ ახალ საბედისწერო ნაბიჯს აგვარიდოს.

მოხსენიებული ხელშეკრულებანი განსხვავებულ ისტორიულ პერიოდებში დაიდო: სხვა იყო საქართველო 1783 წელს და სხვა, 1920 წელს. არც რუსეთია უცვლელი: იქ მონარქიული დესპოტიზმი კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა შეცვალა, მაგრამ იმპერიული ხასიათი ორივე რუსეთისა უცვლელი დარჩა. დღევანდელ დემოკრატიულად წოდებულ რუსეთს ძნელად ეთმობა ის, რაც მონარქიულმა და კომუნისტურმა დაიპყრეს და დაისაკუთრეს... ამიტომაც ბუგავს საქართველოს გარედან პროვოცირებული კონფლიქტების ცეცხლი და გვახრჩობს ეკონომიკური ბლოკადა. ამბობენ, მესამე ხელშეკრულება ყველა პრობლემას მოაგვარებსო... და თუ ეს მოხდება, როგორც მოქალაქე ჩემი რესპუბლიკისა, ცხადია, დაინტერესებული ვარ, რომ სამართლიანი იყოს ეს შეთანხმება. ამიტომაც ვეხები წინა ორი ხელშეკრულების იმ მუხლებს, დამღუპველი შედეგი რომ იქონიეს საქართველოსათვის:

1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატი" როცა დაიდო, აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის ვასალი იყო. ერეკლე მეორის დროს ქართლ-კახეთმა ფაქტიურ დამოუკიდებლობას მიაღწია ამას სპარსეთის სისუსტემაც შეუწყო ხელი), მაგრამ ის მაინც სპარსეთის ვასალია. მიუხედავად ამისა სწორედ ფაქტიური დამოუკიდებლობის წყალობით შესძლო ერეკლე მეორემ ეფექტურად განეხორციელებინა ქართველ პოლიტიკოსთათვის ტრადიციული ლავირება სპარსეთ-ოსმალეთს შორის და ბოლოს რუსეთის ვასალად ეღიარებინა თავი. „გეორგიევსკის ტრაქტატით" რუსეთმა სუზერენის უფლებები მოიპოვა ქართლ-კახეთზე. ხელშეკრულებით აღუთქვამდა: მფარველობას, შინაგან საქმეებში ჩაურევლობას, მმართველი დინასტიის უფლებების დაცვას, ოსმალეთისა და სპარსეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებას და სამხედრო დახმარებას. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა და მომძლავრებულმა სპარსეთმა აღა-მაჰმად-ხანის დროს თავისი უფლებები წამოაყენა, დანაპირები რუსის მხსნელი ჯარი არ გამოჩნდა და გათამაშდა 1795 წლის 11 სექტემბრის კრწანისის ტრაგედია. ეს ამბები ყველამ ვიცით და მათზე შეჩერება არც ღირს, მაგრამ „გეორგიევსკის ტრაქტატი" ერთ ისეთ არტიკულს შეიცავს (კერძოდ მე-4) რომელიც საგანგებო ყურადღებას ითხოვს და აი რატომ: ის რუსეთის ნებართვის გარეშე ქართლ-კახეთის სამეფოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობას ზღუდავდა... არტიკულის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი შემდეგი პირობების შეკრულებ
გულისხმობდა"...რათა უწინარეს ...
ნხმობისა უპირ...ლესისა მესაზღ...
რისა მთავრისა და მინისტრისა მ
იმპერატორების დიდებულებ
ჰრწმუნებულისა, არა აქუნდეს მიმ
წერაი გარემოთა მფლობელთა
მართ, ხოლო ოდეს იგი მოვლენ მ
მიერ დესპანნი ანუ წერილნი, ჰყო
განზრახუასა უპირუელესისა მიმარ
მესაზღვრისა მთავრისა და მინისტრ
სა მისისა იმპერატორების დიდებულ
ბისასა უკუნქცევისათვის დესპანთა
და შესაფერისათუის სიტყვ სუიგებ
მფლობელთა მათ მიერ" ასეა ფორმ
ლირებული ეს არტიკული; საქართ
ლოს სამეფო კარზე მოვლენილი რუ
საგანგებო მინისტრის ჩაურევლად
რა ქვეყანასთან ვერავითარ ურთიე
თობას ვერ ვიქონიებდით და სხვა მ
რველსაც (იყო ასეთი თუ არა ეს ს
საქმეა) ვერ შევეკედლებოდით. ამ ა
ტიკულით რუსეთმა ჩვენ ხელ-ფეხი
ვკიკრა და იმ საკუთარი დახმარებ
ამარა დაგვტოვა, რომელიც არც გ
ღირსა. ხოლო ყველაფერი კი საბოლ
ოდ 1801 წლის პირველი ოკუპაცი
დამთავრდა.

საქართველოს მაშინდელმა მ
ვეურებმა თავი მეტად ცუდ დღეში
იგდეს და აგრესიულ მეზობელთა შ
რის იმ ტრადიციული ლავირების
შუალებაც დაკარგეს, აქობამდის რ
სათანადო ეფექტს იძლეოდა. „გეო
გიევსკის ტრაქტატს" ყველა თავ
არტიკულით იმ დროსაც და შემდგ
მაც ბევრი გამოუვალი პოლიტიკუ
სიტუაციით ამართლებდა; ერთ
მხრივ ძალა მართლაც დიდი გვაქ
მაშინ, მაგრამ მაშინდელ ჩვენს პოლ
ტიკოსებს „ხერხის" ძებნით რომ თ
არ მოუკლავთ, ეს იქედანაც ჩანს,
რა ადვილად გააცუცურაკებინეს რ
სეთს თავი. ისე კი ქართველი სახე
წიფო მოღვაწენი რუსეთთან ურთ
რთობისას ყოველთვის იჩენდნენ
რიოზულ გულუბრყვილობას და გ
კვირად მიმდობნი იყვნენ, ასე
„ტრაქტატის" ხელმოწერამდის და
დაადასტურა რუსეთ-საქართველ
1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულ
მაც: ამ დროისათვის საქართველო
რიტორიულად გამთლიანებულია,
მოუკიდებელი დემოკრატიული რ
პუბლიკაა, სათავეში კონსტიტუც
რი ხელისუფლება უდგას, ბრძოლ
ნარიანი არმია ყავს და მსოფლიოს

დასასრული მე 6 გვ.



საქართველოს სახალხო ფრონტის ისტორიიდან

## სახალხო ფრონტის მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა პრობლემების გადაწყვეტაში

ჯერ კიდევ ოფიციალურ აღიარებამდე სსფ აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ ეკონომიკურ პროცესებში, მთავრობის გადაწყვეტილებათა მომზადებასა და მათი შესრულების შემოწმებაში. სახალხო ფრონტთან შეუთანხმებლად იშვიათად წყდებოდა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი-განსაკუთრებით 1990 წლის 28 ოქტომბრ[illegible] [illegible]რჩევნებამდე. ამის დასადასტურ[illegible] [illegible]ა ერთი ფაქტის დასახელებ[illegible] [illegible]ოდა:

საქართველოს მინისტრთა საბჭოს განკარგულებით სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად გახსნილ 007.00024 ანგარიშზე შემოწირული თანხის გამოუყენებელი ნაშთის ხარჯვის უფლება 1990 წლის 15 თებერვლიდან გადაეცა საქართველოს სახალხო ფრონტს.

1990 წლის 2 აპრილს სსფ-ს გადმოეგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს № 146 დადგენილება „ქ.თბილისის მოსახლეობისაგან განტვირთვის და რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ", დადგენილება ითვალისწინებდა თბილისის მოქალაქეებისათვის სამოსახ[illegible]ო და საკარმიდამო მიწის ნაკვეთებ[illegible] გამოყოფას ბოლნისის, ახალქალ[illegible]ქის, მარნეულის, ბოგდანოვკის, დმანისისა და წალკის რაიონებში. მინისტრთა კაბინეტი მიიჩნევდა რომ სსფ-ს ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეეძლო.

სახალხო ფრონტმა უშუალოდ თვითონ დააარსა სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებოდნენ ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილების რეალიზაციას. 1990 წლის 18 სექტემბერს ნ.ნათაძემ მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ.ჭითანავას და ითხოვა მანქანა-დანადგარების გამოყოფა სსფ-თან არსებულ სამშენებლო კოოპერატივ „ქვემო ქართლისათვის". „მიმართვაზე არის ო.ქვილითაიას რეზოლუცია, რომელიც ავალებს ო.ვარძელაშვილს, ვ.ალავიძეს და გ.აბდუშელიშვილს გაითვალისწინონ ეს თხოვნა 1991 წლის გეგმების შედგენისას.

სახალხო ფრონტმა დიდი დაინტერესება გამოიჩინა უკანონო ბინათმშენებლობის საკითხებისადმი. გამოამზეურა არა ერთი კონკრეტული ფაქტი. მოსახლეობის განსახლებისა და საბინაო პრობლემების მოწესრიგების საქმეში სსფ თანამშრომლობდა სხვადასხვა, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ყურადსაღებია სახალხო ფრონტის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფის, ბუნების დაცვის ღონისძიებებში. 1990 წლის 18 მაისის № 307გ განკარგულებით მინისტრთა საბჭოს მიერ რესპუბლიკაში ლუხუნისა და ცანის დარიშხანის საბადოების რაციონალური გამოყენების შემდგომი უზრუნველყოფისა და მადნების პროდუქციის რეალიზაციის პერსპექტიული საკითხების შესასწავლად და თანმიმდევრულად გადასაწყვეტად, შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა სსფ-ს თავმჯდომარე ნ.ნათაძე.

სსფ-ს ხშირად მიმართავდნენ დახმარებისათვის ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, რომელთა გადაწყვეტა, ვერ მოხერხდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში. მაგ. 1990 წლის 23 მარტს სსფ-ს მიმართა მწვანეთა მოძრაობის აღმასრულებელმა მდივანმა ზ.ჟვანიამ თბილისის სანიტარული მდგომარეობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ქიმიკატებით გაჭუჭყიანების გამო და იმედი გამოთქვა, რომ ფრონტი გამოიჩენს თანადგომას „მწვანეებისადმი" ამ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

1989 წლის 26 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახალხო ფრონტის ინიციატივით გაიმართა მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია. მიტინგის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო უნივერსიტეტის ავტონომია. სსფ-ს წარგზავნილები ესწრებოდნენ მისაღებ გამოცდებსაც ობიექტურობის შემოწმების მიზნით. როგორც ჩანს ისინი ყოველთვის ვერ იჩენდნენ სათანადო კორექტულობას. ამას ადასტურებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მიმართვა სსფ-ს თავმჯდომარისადმი, რომელიც 1989 წლის 1 დეკემბრითაა დათარიღებული. მოსამზადებელი განყოფილება ატყობინებს ნ.ნათაძეს, რომ სახალხო ფრონტის მიმართვის საფუძველზე მსმენელობის კანდიდატთა გასაუბრებაზე დაშვებული იქნენ სსფ-ს წარმომადგენლები ც.სვანიძე (ხელმძღვანელი), შ.წიწუაშვილი, ო.წიწილაშვილი და რ.დუნდუა. ზოგიერთი მათგანის მოქმედებამ გამოიწვია აგრესიული გამოვლინებანი მშობლების მხრიდან. სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა სთხოვს სსფ-ს თავმჯდომარეს პირადად გაერკვეს შექმნილ სიტუაციაში და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, რადგან ასეთი მოქმედება სამწუხაროდ სახელს უტეხს სახალხო ფრონტს. მიმართვას ხელს აწერენ ინსტიტუტის რექტორი ა.ასათიანი და კომისიის წევრები.

სახალხო ფრონტის აზრს რომ ანგარიშს უწევდნენ, ამაზე მიუთითებს მთელი რიგი მიმართვებისა სხვადასხვა უწყებებიდან და სამინისტროებიდან, პასუხები სსფ მიმართვებზე, მთავრობის დადგენილებები და სხვ. 1990 წლის 7 მარტის დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია გარდაიქმნა, შეიცვალა მისი შემადგენლობა და სტრუქტურა, დამტკიცდა დებულება. მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნო ამ კომისიის შემადგენლობაში სსფ თავმჯდომარის ნ.ნათაძის შეყვანა. უფრო ადრე 1990 წ. 2 თებერვალს სახალხო ფრონტს გაეგზავნა განათლების მინისტრის გ.ენუქიძის შ
ყობინება იმის თაობაზე, რომ თბი
სსა და გორში უნდა ჩატარებულ
საიუბილეო-სამეცნიერო კონფე
ციები მიძღვნილი ი.გოგებაშვილის
ბადების 150 წლისთავისადმი. სამ
სტრომ სთხოვა სსფ ხელმძღვანე
ბას 15 მარტამდე ეცნობებინა გად
ვეტილება კონფერენციის მუშაო
მონაწილეობაზე და იმის თაობაზე
ვის მოწვევას მიიჩნევს მიზანშეწ
ლად სსრკ ქალაქებიდან და საზღ
გარეთიდან.

იყო შემთხვევები, როცა სახა
ფრონტის ავტორიტეტისა და გა
ნის გამოყენებას ცდილობდნენ
კეული პირები თავიანთი უკანონო
ქმედების გასამართლებლად. 1
წლის 27 აპრილს ამიერკავკასიის
ნიგზის ტრანსპორტის პროკურო
რამ ნ.ნათაძეს გამოუგზავნა პა
სახალხო ფრონტის 3 აპრი
№1/612 მიმართვაზე. მასში ნათ
მია: „იმის გამო, რომ მოქ. მ.საძაგ
ვილმა 1989 წლის 8 ნოემბერს თ
ნებურად დაიკავა თავისი ოჯახის
რებთან ერთად ქ.ხაშურში შაუმ
ქ.№ 47-ში მდებარე სახლის ოროთ
ანი ბინა, გამოთავისუფლებული ბ
უკანონო ფლობასთან დაკავშირე
ხაშურის ტრანსპორტის პროკუ
რის 1989 წლის 15 ნოემბრის და
ნილებით გადაწყდა მ.საძაგლიშვ
გამოსახლება ადმინისტრაციულ
სით". სსფ-ს რეაგირების გარეშ
ტოვებდა მშრომელთა არც ერთ გ
ხადებას, წერილს და მიმართვას.

მამია დღვილ
საქართველოს პარლამენტის დე
რატიული აღმშენებლობისა და პოლ
ლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეც
თანამშრომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენცა, ბრუტუს!

**როსტომ ჩხეიძე**

ბრუტუსისათვის რომ გვკითხათ: კეისარი დიქტატორად გადაიქცა და იმიტომ მოვკალიო.

თვითონ რესპუბლიკელად მოჰქონდა თავი და რესპუბლიკის, დემოკრატიისა და თავისუფლების იდეალები დიქტატორს ვერ იგუებდა.

მერე რა, რომ სამოქალაქო ომში მის წინააღმდეგ მებრძოლ ბრუტუსს კეისარმა პატიებაც უბოძა და ჯერ პრეტორად, შემდეგ კი კონსულად და სენატორადაც აღაზევა, მერე რა, რომ უახლოეს მეგობრადაც გაიხადა და ყველაზე მეტად მას ენდობოდა... და არაფრით არ დაიჯერა, ყურში რომ ჩააწვეთეს: შეთქმულებას გიმზადებსო. დარწმუნებული იყო: „ბრუტუსი მოითმენს იმდენს, რომ ამ სხეულს არ შეეხოსო".

საბრალო კეისარი: ნეტა მართლა ეგონა, არ გამიმეტებსო თუ თავს არ უტყდებოდა?!

მაგრამ ბრუტუსი სხვაგვარად სჯიდა: რომაელი ხალხი დიქტატორს ვერ მოითმენდა და სამართლის აღსრულება განგებისაგან მე დამეკისრა, მე მოვუტანე რომაელთ მშვიდობა და თავისუფლებაო.

ამიტომაც ჩაუარა ხალხს კეისრის სისხლში ახლადამოვლებული მახვილით სახეგაბრწყინებულმა, მხნედ და ამაყად: ვალმოხდილის შეგნებით.

ბოლო, გადამწყვეტი ჭრილობა მან მიაყენა კეისარს, ვინც მანამდე ნადირივით ტრიალებდა შეთქმულთა წრეში და გაშმაგებული ებღაუჭებოდა სიცოცხლეს, მაგრამ მახვილგამოწვდილი ბრუტუსი დაუნახავს თუ არა, თავზე ტოგა წაუფარებია და წინააღმდეგობა შეუწყვეტია.

კეისრის ეს უკანასკნელი მოძრაობა თვალნათლივ წარმოსახავს მის სულიერ ტკივილს, გაცილებით მწარეს, ვიდრე ის 22 ჭრილობა იყო, ასე უმოწყალოდ რომ დასერეს: ნეტა ბრუტუსი მაინც არ ეხილა შეთქმულთა შორის, ნეტა ბრუტუსს მაინც შერჩენოდა მადლიერების სულ მცირე ნატამალი...

აკი იმდენს მოითმენს, რომ ამ სხეულს არ შეეხოსო?!

ვერ მოითმინა...

და მართლა აღარ ღირდა სიცოცხლე...

პლუტარქეს მატიანე არ გვაუწყებს მომაკვდავის უკანასკნელ სიტყვებს, რაც შექსპირის ტრაგედიიდან შემორჩა კაცობრიობის მეხსიერებას: „ოჰ, შენცა ბრუტოს! კეისარო, ეხლა კი მოკვდი!" — შემორჩა როგორც იდიომური ფრაზა, ადამიანური არსებობის ტრაგიზმის გამომხატველი. თურმე ყველასაგან შეიძლება ყველაფერს ელოდე და თავი არ უნდა დაიმშვიდო, ამას ეს მაინც როგორ ჩაიდენს, ამ სხეულს მაინც როგორ შეეხებაო.

ეს სიტყვები შექსპირს არ გამოუგონია და რაღაც სხვა გადმოცემას ეყრდნობა, მაგრამ ასეც რომ არ იყოს და არც იმ გადმოცემის სანდოობას ჩავეძიოთ, „შენცა ბრუტუს!" ისე ზუსტად მიესადაგება კეისრის მკვლელობის ბოლო წამებს, ამ ტრაგიკული ეპიზოდების ყველაზე დიდ ტკივილს, რომ ვრწმუნდებით: თქმით თუ არ უთქვამს, ბაგეებზე ალბათ ეს ფრაზა შეეყინაო. სხვას რას ნიშნავს მისი საქციელი ბრუტუსის დანახვისას...

მატიანის ლაკონური თხრობა, მოქმედ პირთა ძუნწი შტრიხებით შესრულებული სილუეტები ტრაგედიაში მხოლოდ გაშლილია და მხატვრული სრულყოფით აღვსილი, თორემ შექსპირს არსად გადაუხვევია პლუტარქეს ქრონიკისაგან, ბიბლიური ქრონიკებივით იმის საუკეთესო ნიმუშად რომ წარმოგვიდგება, როგორი სტილით უნდა იწერებოდეს ისტორიული თხზულებანი.

აქ გადახვევის, რაიმეს შეცვლის აუცილებლობა არაფერს გამოუწვევია: პლუტარქეს მატიანე მზამზარეული ფაბულა იყო ტრაგედიისათვის — კონფლიქტით, ხასიათებით, ფსიქოლოგიური და მსოფლმხედველობრივი წინამძღვრებით და ხელოვნურად რატომღა უნდა გამძაფრებულიყო.

დიქტატორად გადაიქცაო...

მაშ ბრუტუსი უანგაროდ მოქმედებდა, მაშ ბრუტუსი მართალი და პატიოსანი კაცი ყოფილა. მენდეთ, როგორც პატიოსან კაცსო — აკი მიმართავდა ხალხს ფორუმზე გადმომდგარი, რათა აეხსნა თავისი საქციელის მიზეზი: „თუ აქ კრებაში არის ვინმე ერთგული მეგობარი კეისრისა, მე მას ვეტყვი, რომ ბრუტოსს კეისარი მასზედ ნაკლებად არ უყვარდა. იქნება მკითხოს, რომ ბრუტოსმა კეისარი რად გამიმეტაო; აი ჩემი პასუხი: მე კეისარი ნაკლებად არ მიყვარდა, მაგრამ რომი მიყვარდა მეტად! რას უფრო არჩევდით, რომ კეისარი ცოცხალი დარჩენილიყო და ჩვენ ყველანი მონებად დავხოცილიყავით, თუ იმის სიკვდილს და ჩვენს ცოცხლივ განთავისუფლებას? კეისარს მე ვუყვარდი და ამისათვის მას დავტირი; იგი ბედნიერი იყო და მე მიხაროდა, იგი იყო მამაცი და ამისათვის პატივს ვცემდი, მაგრამ მედიდური იყო და ამისათვის მოვკალ იგი. საყვარელ კაცს ცრემლები ეკუთვნის, ბედნიერს სიხარული, მამაცს პატივისცემა და მედიდურს სიკვდილი. ვინ არის თქვენში ისეთი სულმდაბალი, რომ მონად ყოფნას ნატრობდეს?"

ეს პიესის გმირი ბრუტუსია, მაგრამ მისი ამ ორატორული გამოსვლის იდეა თვალნათლივ ჩანს მატიანეშიც; და იქნებ ეს სიტყვებიც მართლა ეთქვა: „რომელი ხანჯლითაც რომის სიკეთისათვის საუკეთესო გულის საყვარელი მოვკალ, იგივე ხანჯალი ამ გულისათვის მაქვს გამზადებული, თუ ჩემი ქვეყანა ჩემს სიკვდილს დაისაჭიროვებს".

ხალხი მდუმარედ შეხვედრია შეთქმულთა მოთავეს: არც მოუწონებია და არც დაუგმია მისი საქციელი, მაგრამ როცა კეისრის დაჩეხილი სხეული დაუსვენებიათ ფორუმზე და ხალხის ცნობიერებაში ერთბაშად ამოტივტივებულა მისი კეთილი და გმირული საქმენი, ისეთი მღელვარება დაწყებულა, მკვლელობის მონაწილეებმა გაქცევით უშველეს თავს. თუმც ბედისწერას სად დაემალებოდნენ, კეისრის მფარველ იმ კეთილ სულს, ვინც შურისმაძიებლად მოევლინათ და მანამდე მიჰყვებოდა მათ კვალს ზღვასა თუ ხმელეთზე, სანამ ყველას მიუზღავდა სამაგიეროს, არამარტო უშუალო მონაწილეთ, არამედ მათაც, ვინც აზრებითა და განწყობილებებით მოამზადეს კეისრის აღსასრული.

ბრუტუსს თვითონ კეისრის აჩრდილი გამოეცხადა ორგზის.

მოკლულის აჩრდილის გამოცხადება ყოველთვის შურისგების მაუწყებელია, ამ სცენაში უფრო მეტად ის იგრძნობა, რომ კეისარი ჰადესშიც ვერ მოუსვენებია შეთქმულთა შორის ბრუტუსის ხილვას. და გაუსაძლის სულიერ ტკივილთან ერთად გაოცებაც თან წაჰყოლია, „შენცა ბრუტუს!"

შეთქმულთა მოთავე აჩრდილს არ შეუპუებია და თავგანწირვით გადაშვებულა კეისრის მოძმეთა წინააღმდეგ ბრძოლაში; და თუმც შეტაკებაში არ დაღუპულა, თავისი მხედრობის უკუქცევის მხილველი ბოლოსდაბოლოს ბედს შერიგებია: ფლატეზე ასულა და მახვილზე მკერდით დაგებულა.

ეს განწირული კაცის თვითმკვლელობაა და არა მონანიესი: იუდასვით. ასე რომ ყოფილიყო, გაცილებით ადრე გამოეთხოვებოდა სიცოცხლეს... თუმცა აუცილებელია აღსასრულითაც იუდას დამგვანებოდა: მთავარი ისაა, რომ ორივეს ცხოვრების გადამწყვეტი ეპიზოდია მსგავსი და ერთმანეთის გვერდიგვერდ ამიტომაც აღმოჩნდნენ დანტეს ჯოჯოხეთის ყველაზე ღრმეს გარსში.

მაგრამ ბრუტუსის პიროვნების შეფასება თანდათან იცვლებოდა, ეტყობა, იუდას გვერდით არ ეპატიებოდათ, არც სხვა შეთქმულთა გვერდით, და შექსპირის ტრაგედიაშიც ამ განწყობილებამ იჩინა თავი: შეთქმულთა მოთავე აშკარად რეაბილიტირებულია. ამიტომაც არის ისეთი დითირამბი აღვლენილი ფინალში: „ის სულდიდობით ყველა შეთქმულთ აღემატებოდა, სხვებმა რაცა ჰქმნეს ძლიერის კეისრის შურით და მხოლოდ იმას ქვეყნის საქმე ასულდგმულებდა; სურდა კეთილის დათესა და მისთვის შეითქვა. ცხოვრება მისი იყო წმინდა, სუფთა, ანკარა, შეხამებული საუცხოოდ, ისე თვითონ ბუნებას უნდა გამოეცა ენა და ეთქვა ყველას სასმენად: ჭეშმარიტი კაცი ეს იყო".

ოღონდ: ეს „ჭეშმარიტი კაცი" პიესის გმირი ბრუტუსია თუ ნამდვილი ბრუტუსი? მხატვრული გააზრებისას თავისებური ელფერი მიემატა შეთქმულის სახეს თუ რეალური, ისტორიული ხასიათიც უნდა აღიქვათ?

სხვაა შეთქმულთა განზრახვისა და მოქმედების მიზანი არც ტრაგედიაშია დაფარული: კეისრის შურით აღვსილიყვნენო... და თუკი ასეა, ბრუტუსი რანაირად შეიძლება გამოვაცალკევოთ თანამზრახველთაგან?

დიქტატორად გადაიქცაო — აკი ყველა ერთსულოვნად ირწმუნებოდა.

რაც ჩავიდინეთ, რომის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის, რესპუბლიკური წეს-წყობილების დასამყარებლად ჩავიდინეთო — აკი ყველა ერთხმად გაიძახოდა.

მაშ მკვლელობის სხვა მონაწილენი თუ ცრუობდნენ და შურით აღვსილი დამალვას ცდილობდნენ, ბრუტუსი რატომღა უნდა მივიჩნიოთ საქვეყნო იდეალებისათვის თავდადებულად, ის ბრუტუსი, ყველაზე მეტი მადლიერება ვისაც მართებდა. ვითომ ასეთი გულუბრყვილო იყო, ვერც გაიგო, ისე ჩაითრიეს?

ეჰ, შენცა ბრუტუს!

კეისრის აჩრდილმა ყველაზე უკეთ იცოდა, რა იდეალებიც აქეზებდა შეთქმულთა მოთავეს; ან თვითონ რა დიქტატორად იქცა.

შეთქმულთა ეს მამოძრავებელი იდეა — კეისრის დიქტატორობა — იყო ყველაზე მარჯვე, ხელსაყრელი გზა მისი სახელის გასატეხად და სისხლიანი გადატრიალების გასამართლებლად. ამას გარეშეთ უნდა გაღვივებულიყო წინააღმდეგობა სენატშიც და სენატს გარეთაც და თანდათან აზვირთებულ მღელვარებას თან უნდა გადაეყოლებინა კეისარი: და სახელმწიფო გადატრიალება სახალხო ამბოხების სახელით შენიღბულიყო.

სენატში დახლართული ქსელი უკვე ცხადყოფდა კეისრის აღსასრულის გარდუვალობას.

არადა, ამაგი მხოლოდ ბრუტუსის წინაშე კი არ მიუძღოდა: გახსენება ვიღას უნდოდა, თორემ დანარჩენი სენატორებიც პატივით აღევსო, და, სხვა თუ არაფერი, უამისოდ სენატში ვერცერთი ვერ მოხვდებოდა — კეისრის კალთას ამოფარებულმა შეაღწიეს სახელმწიფოს გამგებლობაში; მაგრამ მერე ეს აღარ იკმარეს და თვით კეისრის თანაბრად მოინდომეს ქვეყნის მართვა, თავს იჯერებდნენ, უჩვენოდ ამხელა დიდებას ვერ მოიღწევდაო. ვერაფრისდიდებით ვერ ეგუებოდნენ მის უპირატესობას და, გულმოსულნი, აღარც ამაგს უთვლიდნენ რაიმედ, აღარც სახელმწიფო მოღვაწის ტალანტსა და აღარც სულიერ ღირსებას, რაც ბევრჯერ გამოემჟღავნებინა: კეთილშობილება, ხალხზე ზრუნვა, მტერთა მიმართ სულგრძელობა...

და ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, უპირველესად ის მოიმოქმედეს, რომ კეისარს საგანგებო რწმუნებანი მიანიჭეს: ვითომდა ასე ძალიან გვიყვარხარ, ასე ძალიან გაფასებთო... სინამდვილეში კი სურდათ მისი პიროვნება ხალხისათვის საძულველი და აუტანელი გაეხადათ: ხომ ხედავთ, რა პატივმოყვარეობის სენი გაუჩნდა, აღარავის ყაბულდება... მტერთა და მეხოტბეთა ხურვილი მოულოდნელად ერთმანეთს დაემთხვა და კეისარი განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილი აღმოჩნდა.

თითქოს ეს არა კმაროდა, ყოველ წუთში მზად იყვნენ კიდევ და კიდევ მიენიჭებინათ საგანგებო რწმუნებანი და კეისარი მიხვდა, ამას კეთილი გულით და ჩემი სიყვარულით არ სწადიანო; და მოითხოვა: „რწმუნებანი უნდა მომაკლოთ და არა მომიმატოთო". სენატორები ისე გამწყრალან — რაკილა ხრიკებს მიუხვდნენ — რომ ამდგარან და სენატიდან გამოსულან, ხოლო კეისარს ტოგა გადაუწევია და უყვირია: „ბარემ მომკლას, ვისაც ჩემი მოკვლა სწადიაო".

ახლა სხვა გზით მოუარეს და დაბეჯითებით არწმუნებდნენ, კეისრობა რა შენი შესაფერისია, მეფობის ღირსი ხარო, შენ თუ არა, აბა, ვინ უნდა იმეფოსო... თან ხალხში ხმას ავრცელებდნენ: წინასწარმეტყველების მიხედვით პართებს მხოლოდ მაშინ დავამარცხებთ, თუ ლაშქრის წინამძღოლად მეფე გვეყოლებაო. ამით ეჭვს თესავდნენ: კეისარი მიილტვის მეფობისკენო. ის კი არა, იმდენად გაკადნიერებულან, ალბადან რომში დაბრუნებულ კეისარს, როგორც მეფეს, ისე ეთაყვანენ. იმან იუარა, მე კეისარი მქვია და არა მეფეო; მაგრამ არც ამჯერად გამოპარვია თაყვანების ფარული მიზანი და დანაღვლიანებულსა და უკმაყოფილოს ამიტომაც გაუგრძელებია გზა.

ვნებანი უკიდურესობამდე გამძაფრდა და კეისრის მოწინააღმდეგეებს ბრუტუსი რომ ჩაუდგა სათავეში, კიდევ მოაახლოვა სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც ვერაფრით ვერ დაამგვანეს სახალხო ამბოხებას: ეტყობა, ცილისწამებათა ნაკადი არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან კეისარს გაცილებით დიდი სახელი და პატივისცემა მოეხვეჭა ხალხში, ვიდრე შეთქმულებს წარმოედგინათ... აქეზებდნენ რომაელებს, ამუნათებდნენ, ბრბოდ და მონებად იხსენიებდნენ, რათა მათი თავმოყვარეობა აღეშფოთებინათ და სენატის ასაღებად და კეისრის დასამხობად დაეძრათ, მაგრამ რომაელებს მაინც კეისრისა უფრო სჯეროდათ, იქნებ ყველა მისი ნამოქმედარიც არ ეჭაშნიკებოდათ, მაგრამ სხვებს ისევ ის ერჩივნათ... და რაკილა შენიღბვა ვერა და ვერ ხერხდებოდა, შეთქმულებს სხვა რა დარჩენოდათ, თავი უნდა გაეშიშვლებინათ.

განა ბრუტუსმა არ იცოდა, რასაც სჩადიოდა?! არ იცოდა, მეგობრისა და მოამაგის სისხლში მახვილის ამოვლება რა რესპუბლიკურ წეს-წყობილებასა და თავისუფლებასაც მოიტანდა?! ან კიდევ: თუკი მართლა იდეალებმა გაამეტებინა კეისარი, ვინც ავი ენის გესლმა დიქტატორად მოაჩვენა, და ხალხს გულწრფელად არწმუნებდა, მონობიდან მე დაგიხსენითო, რატომ არ გაჰყვა მერე განზე, რატომ წაეპოტინა ხელისუფლებას, რატომ შეაკოწიწა ტრიუმვირატი და კეისრის ძეგლის ნამსხვრევებზე რატომ მოინდომა საკუთარი კერპის აღმართვა?

ეს არის — მე კეისარი ნაკლებად არ მიყვარდა, მაგრამ რომი მიყვარდა მეტადო?

ეს არის — ქვეყნის საქმე ასულდგმულებდაო?..

ეს არის — მისი ცხოვრება იყო წმინდა, სუფთა და ანკარაო?

ერთი იუდას ასულდგმულებდა და მეორეს ამას... ერთი იუდას ცხოვრება იყო წმინდა, სუფთა და ანკარა და მეორე ამის ცხოვრებაო..

შენცა ბრუტუს! — გაოგნებულიყო კეისარი.

შენცა ბრუტუს! — ვერა და ვერ დამცხრალიყო მისი აჩრდილიც.

კეისარი გულუბრყვილო სულელებითაც არა ყოფილა, ვერაგობისა და ულმობელობის, მუხთლობისა და უმადურობის მეტი რა უნახავს, მაგრამ არის რაღაც, რასაც იჯერებ და მერე გიკვირს, გიკვირს...

ისტორიას გამარჯვებულები წერენ. ამიტომაც იცვლება მალიმალ, ხან ნაწილობრივ, ხანაც მთლიანად. მერე კი მისი ნახევებიც ისევე მიჰყვება ქარს, როგორც მანამდე სხვა ნახევები გაუყოლებიათ... მაგრამ უხილავი ისტორიაც ხომ არსებობს, შეულამაზებელი, პირუთვნელი, არავის ძალმომრეობას რომ არ ემორჩილება და ოდნავადაც ვერავერი შეასხვაფერებს მის ფურცლებზე აღბეჭდილ მართალ პორტრეტებს.

## მასწავლებელს მიწა არ მისცეს

რედაქციაში გარდაბნის რაიონის ს. სართიჭალის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებლის ელეონორა გეგელაშვილის წერილი მოვიდა, რომელშიც ქალბატონი ელეონორა დიდი გულისტკივილით წერს იმაზე, რომ სოფლის გაგეობისაგან საკარმიდამო მიწა ითხოვა და უარით გაისტუმრეს.

„მართალია, თბილისში ვარ გათხოვილი, მაგრამ წარმოშობით სართიჭალელი ვარ, ჩემი მშობლების საფლავიც აქ არის და აქვე, მე-2 საშუალო სკოლაში ვმასწავლებლობ (და ქირითაც ვცხოვრობ) უკვე ორ ათეულ წელზე მეტია. ხანდაზმულობის ჟამს მინდოდა აქვე მეცხოვრა და სოფლის გამგებელს ვთხოვე, იქნებ საკარმიდამო ნაკვეთი მომცეთ-მეთქი. ჯერ დამპირდა მოგცემო და მერე კი უარით გამომისტუმრა. დარწმუნებული ვარ, სხვა ეროვნებისა რომ ვყოფილიყავი, უარს არ მეტყოდნენ. სამწუხაროდ, ჩვენში ასეა მიღებული. ეს წერილი იმიტომ მოგწერეთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით მივაწვდინო ხმა ს. სართიჭალის გამგებელსა და გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელებს და საჯაროდ ვთხოვე მომცენ საკარმიდამო ნაკვეთი".

იმედია, მასწავლებლის ამ საჯარო თხოვნას ყურად იღებენ გარდაბნის რაიონისა და ს. სართიჭალის ხელმძღვანელები და სოფლის არაერთი თაობების აღმზრდელ ადამიანს საკარმიდამო მიწას არ დაამადლიან. მით უფრო, რომ დღეს კანონიც ითვალისწინებს ამას.

რედაქციის სახელით კი ვთხოვთ გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელებსა და ს. სართიჭალის გამგებელს ოფიციალურად გვაუწყონ მათი გადაწყვეტილების შესახებ.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია

# ხელშეკრულება

დასასრული

დი სახელმწიფოების მიერ დეფაქტოდ არის აღიარებული. ასე რომ, ბევრად განსხვავდებოდით XVIII საუკუნის საქართველოსაგან. ამასთან 7 მაისის ხელშეკრულებას წინ რამოდენიმე ჩვენთვის მომგებიანი მომენტი უსწრებდა: პირველი ის, რომ 1918—1919 წლებში ბოლშევიკურმა რუსეთმა პროვოცირებული სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტების მეშვეობით საქართველოს რესპუბლიკისათვის დამღუპველ დესტაბილიზაციას ვერ მიაღწია. მეორე: აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ რუსეთის მე-11-ე არმიამ პირდაპირ მიიტანა იერიში თბილისზე, მაგრამ დამარცხდა. ე.ი. მოპოვებული გვქონდა სამხედრო გამარჯვება. მესამე: ამ დროს რუსეთი პოლონეთს ეომებოდა.

მეოთხე: საქართველოს მაშინდელ სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიულ წრეებში საკმაოდ დიდი პოლიტიკური ავტორიტეტი გააჩნდა და ეს მაშინ ბევრს ნიშნავდა. ერთი სიტყვით, საქართველოს მაშინდელ მესვეურებს ყველა პირობა ქონდათ იმისათვის, რომ თანაბარუფლებიანი სამართლიანი ხელშეკრულება დაედოთ რუსეთთან და მიუხედავად ამისა, ეს ასე არ მოხდა; და საქართველო 1920 წლის 7 მაისს დებს ხელშეკრულებას რუსეთთან, რომელიც ერთის მხრივ ჩვენთვის სასარგებლოდ შეიძლება მიიჩნიო: რადგან რუსეთი ყოველგვარი პირობების გარეშე ცნობდა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას, ხელს იღებდა ჩვენს შინაგან საქმეებში ჩარევაზე, ცნობდა საზღვრებს და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ვალდებულებას იღებდა თავის ტერიტორიაზე არ დაეშვა ისეთი ჯგუფებისა და ორგანიზაციების მოქმედება, რომელთაც საქართველოში არსებული ხელისუფლების დამხობა ქონდათ განზრახული. მაგრამ „გეორგიევსკის ტრაქტატისა" არ იყოს, ამ ხელშეკრულებაშიც არის ერთი მუხლი. კერძოდ, მე-X-ე, რომელიც გვარიანად ლახავდა სხვა მუხლებით აღიარებულ ჩვენს სუვერენიტეტს და რეალურ საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფო წყობას... ამ მუხლის ძალით — „საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრაციული დევნისაგან ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის". მუხლს დართული აქვს შენიშვნა: „საქართველო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს საპყრობილეთაგან ყველა პირები, რომლებსაც ბრალდებათ ზემო აღნიშნული ხასიათის მოქმედებანი".

ამრიგად, რუსეთი მოხერხებულად შემოპარებული X-ე მუხლის წყალობით პასუხისმგებლობიდან ანთავისუფლებდა თავის აგენტურას. იმათ, ვინც საქართველოს „შიგნიდან" აფეთქება ვერ შეძლეს. ამით რუსებმა ანტიქართულ ელემენტებს დაუსჯელობის საფუძვლიანი იმედი მისცეს. ხოლო შემდგომში, როცა ამისი საჭიროება დადგა, სათანადოდ გამოიყენეს ისინი: ზოგი რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობდა, ზოგი ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას ეწეოდა. ზოგიც შულავერის მარიონეტულ „მთავრობაში" მოკალათებული 1921 წლის მეორე რუსული ოკუპაციის დროს ოკუპანტთა ქმედების კანონიერების მტკიცებას ცდილობდა, სხვანი კი უკვე ანექსიის შემდგომ თითით საჩვენებელ კოლაბორაციონისტებად იქცნენ. ერთი სიტყვით, 7 მაისის ხელშეკრულების მე-X-ე მუხლითა და დართული შენიშვნით ბოლშევიკურმა რუსეთმა ისარგებლა რამდენადაც შესაძლებელი იყო. საკითხავია, ჩვენ ხელისუფლებას რა რჯიდა, რომ ასეთ დიპლომატიურ დათმობაზე წავიდა აშკარად მტრულად განწყობილი სახელმწიფოს მიმართ? მაშინ ხომ საქართველოს ისე არ უჭირდა, როგორც XVIII საუკუნის ბოლოს? პასუხი ამ კითხვაზე ასეთი შეიძლება იყოს: რუსეთი, რა პოლიტიკური რეჟიმიც არ უნდა იყოს იქ გაბატონებული, თავისი მისწრაფებით იმპერიული ქვეყანაა და ისეთ ხელშეკრულებას არავისთან დადებს, მისთვის მეტად მომგებიანი რომ არ იყოს. შესაბამისად, ნაკლებად სამართლიანი. აი, ამისი მაგალითები გახლავთ ჩემს მიერ საგანგებოდ აქცენტირებული „გეორგიევსკის ტრაქტატის" მე-4 არტიკულიცა და 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მე-X მუხლიც თავისი შენიშვნით. ასე რომ, რუსეთთან ურთიერთობა საგანგებო — ათასჯერ გათვლით დამოკიდებულებას ითხოვს, რომ თავი შავ დღეში არ ჩაიგდოთ. სამწუხაროდ, ორივე ზემოხსენებული ხელშეკრულების დადების დროს მაშინდელი ქართველი პოლიტიკოსები აშკარად ამჟღავნებდნენ პოლიტიკურ სიბეცეს. ვერცერთი ხელშეკრულების დადებისას ვერ იტყვი, რომ ისინი „ხერხი სჯობია ღონესაო" პრინციპით მოქმედებდნენ. პირიქით, ძალას აღმართი „ახვევინეს, როცა ეს ძალა არ არსებობდა. მაგალითად, 7 მაისის ხელშეკრულების დადებისას. ასე რომ, ბედი არ გვწყალობდა არც პარტნიორ სახელმწიფოსთან, არც საკუთარ სახელმწიფო მოღვაწეთაგან გვადგა ხეირი.

ისტორიისაკენ მიბრუნებას, წარსულის მაგალითების მოხმობას აზრი მაშინ აქვს, როცა დღევანდელობის საჭირბოროტო პრობლემებს ეხმიანება: რუსეთთან დადებულ წინა ხელშეკრულებათა მოხსენიებული პუნქტები თავისთავად ბევრის მთქმელია და გაფრთხილებაცაა...

ახლა მესამე ხელშეკრულება უნდა დაიდოს; თუ ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, რუსეთის ბევრი ასეთი მუხლის შემოტანა შეუძლია ( ის, რაზეც ზემოთ თქვენი ყურადღება შევაჩერე, ხუმრობა იქნება ახალ პუნქტებთან შედარებით) და საქართველოს დღევანდელმა მესვეურებმა წინამორბედთა შეცდომები არ უნდა გაიმეორონ. მითუმეტეს, თუ: რუსი სახელმწიფო მოღვაწეები არ მალავენ, რომ საქართველო თავიანთ გავლენის სფეროდ მიაჩნიათ. აცნობიერებენ რა ჩვენი ქვეყნის მომგებიან გეოპოლიტიკურ მდებარეობას, საჯაროდ აცხადებენ, რომ სურთ აქ სამხედრო ბაზები იქონიონ. არ მალავენ, რომ საქართველოს თავიანთ ეკონომიკურ ზონაში მოქცევა სურთ. საქვეყნოდ აცხადებენ, რომ მხარს დაუჭერენ საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შექმნილ ავტონომიებში



მათ მიერვე პროვოცირებულ სეპარატისტულ მოძრაობას ან ამდაგვარ მოძრაობას (ასევე მათ მიერ პროვოცირებულს არაქართული მოსახლეობის კომპაქტურად განსახლების რაიონში.) ცხადია, ყველაფერ ამას ერთა თვითგამორკვევისა და ადამიანთა უფლებების დაცვით წილბავენ, მიუხედავად იმისა, არსებობს ამისი საფუძველი თუ არა. არ მალავენ, რომ არ აწყობთ საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა.

მოკლედ, იმ საკითხებიდან, რასაც ოფიციალური რუსეთი არ მალავს და საჯაროდ გაჰყვირის ერთიც კი საბედისწერო შედეგის მომტანი იქნება, ხელშეკრულებაში რომ აისახოს ბუნებრივია, ასეთი ხელშეკრულება სამართლიანი არ იქნება და ჩვენს დამოუკიდებლობას ფიქციად აქცევს. რუსეთთან ურთიერთობას ართულებს, რომ რუსეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს და რაც სავალალოა, მის ინტელექტუალური ნაწილის დიდ უმეტესობას, სამართლიანად მიაჩნია იმპერიალისტური ძალების პრეტენზიები ჩვენს მიმართ. იმისათვის, რომ რუსეთში და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში გაიგონ ჩვენი სიმართლე, ჯერ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის პროპაგანდის კონცეფცია უნდა შევიმუშაოთ და მერე მის განხორციელებაზე ვიზრუნოთ, რომ ამ გზით შევიძინოთ თანამგრძნობ-მოკავშირეები, მათი მხარდაჭერა მეტად გვჭირდება, როგორც რუსეთთან ხელშეკრულების დადების კონკრეტულ შემთხვევაში; რომ იმპერიულ ძალებზე ზემოქმედება მოახდინონ. ასევე სხვა შემთხვევაშიც, რადგან გავიმეორებ ადრე ნათქვამს: საქართველოს დღევანდელი ბრძოლა, ეს იმ საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ბრძოლის გაგრძელებაა. რასაც ეროვნული თავისუფლებისათვის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა ქვია. დღეს თუ შევძელით და მოვაგვარეთ არსებული პრობლემები, არ არსებობს არავითარი გარანტია იმისა, რომ ხვალ სხვა სახით არ გარძელდება ეს ბრძოლა და რადგან ჩვენს ბრძოლაში მუდამ მარტონი ვიყავით, ეს იყო და არის წამგებიანი მდგომარეობა. ამიტომაა საჭირო თანმგრძნობ-მოკავშირეთა მოძიება, რასაც შევძლებთ, თუ მსოფლიოს საზოგადოებრიობას გავაგებინებთ იმ ზნეობრივ-სამართლებრივ პრინციპებს რითაც გვსურს ავაშენოთ თავისუფალი საქართველო და წარმოვუჩენთ იმ მიზეზებს, ამ გზაზე რომ ხელს გვიშლის. ე.ი. უნდა გავაცნოთ ცივილიზებულ სამყაროს ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერსებისა და პრობლემების კრებული, რასაც იმედია, გააცნობიერებენ — გაითავისებენ და შეძლებისდაგვარად დახმარებას აღმოგვიჩენენ. ამრიგად, დადგება მსოფლიოს თანამეგობრობის წინაშე ე.წ. — საქართველოს საკითხი — ანუ ის რასაც უკვე მიაღწიეს ებრაელებმა, სომხებმა, პალესტინელებმა, ქურთებმა. ეს აზრი ოდნავ სხვა ფორმულირებით მე უკვე გამოვთქვი ამა წლის 15 ივლისს გაზეთ „ივერია — ექსპრესის2 მეშვეობით (იხ. „ვინ იბრძვის და რისთვის?") გავიმეორებ: საშურ საქმედ მიმაჩნია ეს, რადგან საერთაშორისო დახმარების გარეშე ჩვენს წინაშე მდგარ პრობლემას თავს ვერ გავრთმევთ. რაც შეეხება დასადებ მესამე ხელშეკრულებას, ის ჩემი აზრით ზემოხსენებული — საქართველოს საკითხის — ერთ-ერთი გამოვლენა უნდა იყოს, ხელშეკრულება, რომელიც ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს კი არ უნდა ლახავდეს, არამედ სასარგებლო იყოს. ეს კი მაშინ მოხერხდება, თუ ის სამართლიანი იქნება ე.ი იმ ხასიათის მქონე, რაზედაც „მოკლე პოლიტიკურ ლექსიკონში" არაფერია თქმული.

ბაატა იაკაშვილი

# ვითარება ცხინვალში

დასასრული

ოსების მოსაწონი პრეზიდენტი. ჯერ ჩვენ ვაგინებდით ბუშს, ახლა ოსები კლინტონს.

## გამკაცრდა საბაჟო კონტროლი

ცხინვალის შესასვლელთან, ოსურმა ომონმა და მათმა საბაჟო სამსახურმა გაამკაცრეს კონტროლი. მოწმდება შემსვლელ-გამსვლელთა პასპორტები, ტვირთი. ამის მიზეზად ასახელებენ ცხინვალში რუსეთიდან შემოზიდული ტვირთის საქართველოს სხვა რაიონებში გადიხებას, რასაც კარგად ახერხებდნენ ოსი და ქართველი ვაჭრები. ტომარა ფქვილი ცხინვალში 5 ათას რუსულ მანეთად შეძენილი, გორის რაიონის სოფლებში 12 ათასად იყიდებოდა. ამ დროს თვითონ ქალაქში ძალზე გაჭირდა ცხოვრება. როგორც ჩანს, რუსეთი აღარ აწვდის ოსებს იმდენ ფქვილსა და ბენზინს, რაც ლამის მთელი შიდა ქართლს აკმაყოფილებდა. რეგიონის ქართული მოსახლეობისათვის ეს არცთუ სასიამოვნო ფაქტია, რადგან კენიიდან გემი იგვინებს მოგვიწევს შიმშილობა.

## ენერგია რუსეთიდან

ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან დაიწყო 110 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. უკვე მზადდება საყრდენები მაღალი ძაბვის ბოძების დასადგმელად. სულ 106 ასეთი საყრდენი უნდა დამზადდეს. მშენებლობას აწარმოებს სევკავკაზენერგო ცხინვალში იმედოვნებენ, რომ ეს მშენებლობა ზამთრისთვის დასრულდება და „ქართველი ფაშისტები" ვეღარ შესძლებენ ეკონომიკურ ბლოკადაში მოაქციონ მათი ახლადშობადგმული რესპუბლიკა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მაღიარებელ რუსეთს ვისი წაყრუებით ეძლევა უფლება სხვის მიწაზე თავის ნებაზე იჩიჩქნოს.

## ფინანსები ვლადიკავკასიდან

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი ადგილობრივმა ხელისუფლებმა უნივერსიტეტად გადანათლეს და ახალი სასწავლო წლისათვის ამზადებენ. „უნივერსიტეტს" რამდენადმე შეუცვალეს პროფილი, დაუმატეს ეკონომიკური და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტები, ბიოლოგიის ფაკულტეტზე უპირატესობა მიენიჭა იმ დისციპლინებს რომელნიც სოფლის მეურნეობისათვის სპეციალისტების მომზადებას სჭირდება. ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტზე კი სამხედრო საქმეს შეისწავლიან გაძლიერებულად. გასაგებია ვისთვის ემზადებიან სტუდენტური მერხიდან ოსი ახალგაზრდები.

„ოსური ალმა მატერის" წინამძღვრები ძალზე განაწყენებულები არიან ადგილობრივ მთავრობაზე, რომლებიც არ აფინანსებენ მათ. სამაგიეროდ დიდ მადლობას უძღვნიან ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლებას, რომელიც თურმე საკუთარი ბიუჯეტიდან უგზავნის თანხებს ამ ახლადგამოჩეკილ სასწავლებელს. საინტერესოა რის საფუძველზე აფინანსებს მეზობელი სახელმწიფოს ავტონომიური წარმონაქმნის მთავრობა ჩვენს ქვეყანაში არსებულ დაწესებულებას და უნდა გააკეთოს თუ არა ამის გამო შესაბამისი განცხადება ჩვენმა უთაურმა მთავრობამ, რაც თუმცა მცირე, მაგრამ კიდევ ერთი არგუმენტი იქნება ჩვენს დიდ მტერთან ბრძოლის საქმეში. სხვათა შორის, ოსებს, რომლებიც საკუთარი ენის გადარჩენის მიზეზითაც გამოვიდნენ მათი „გადამაჯიშებელი" ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად, არ გახსენებიათ გაეხსნათ ოსური სკოლა, აი უნივერსიტეტი კი უკვე აქვთ.

## ვისაც ომი უნდა ფარაჯაც მან ჩაიცვას

ტორეზ კულუმბეგოვთან დაახლოებული პირების მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ იგი და ალან ჩოჩიევი აპირებდნენ მეორე ფრონტის გახსნას, მაგრამ უარი მიიღეს შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელებისაგან. ერთ-ერთმა მათგანმა გამოთქვა რა მზადყოფნა ომისათვის, კატეგორიულად მოსთხოვა ხელისუფალთ საბრძოლო მწყობრში ჩაეყენებინათ თავიანთ რუსეთში გადამალული შვილები. ეს კი არც კულუმბეგოვს არც სხვების გეგმებში არ შედის. ბევრ მათგანს ისინი უკვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჰყავთ გახიზნული — ნაძარცვი ქონება ამის საშუალებას იძლევა.

ნეტავ სად არიან „ძლიერთა ამა ქვეყნისა" (საქართველოსი) შვილები.

მერაბ მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზეთის ტკივილი

შეუხორცებელ ჭრილობად იქცა აფხაზეთი საქართველოსათვის. შინაურ ტკივილს გარედან გადმონთხეული შხამიც ემატება ზედ.

პროგრამა „Вести“ ცინიკურად გადმოსცემდა აფსუა კორესპონდენტის რეპორტაჟს: Абхазские вооруженные силы освободили село Шрома (?) თუ აქ იგულისხმება ის, რომ ხალხი მთლიანად განდევნეს და, ადგილი, შრომად წოდებული, ადამიანებისაგან გაანთავისუფლეს, მაშინ ყველაფერი სწორია. თუ განადგურებას გათავისუფლება ჰქვია, მაშინ სიკეთეს რა სახელი უნდა დავარქვათ, გაუგებარია.

ყოველივე ეს დღეს და გუშინ არ დაწყებულა. თუ გადარჩა საქართველო, ალბათ დაიბადება ისეთივე ობიექტური მეცნიერი, როგორიც დიდი ივანე ჯავახიშვილი გახლდათ და შექმნის ფუნდამენტურ ნაშრომს — ქართული დოყლაპიობის ფენომენი.

დოყლაპიობა ჩვენ ბევრჯერ დავამტკიცეთ და არავითარი სურვილი არა გვაქვს, თავი გავითავისუფლოთ მისგან.

ჩვენი დოყლაპიობა ემყარება მხოლოდ და მხოლოდ ერთ წინადადებას: — რა მოხდა მერე! ეს სიტყვები გახლავთ ჩვენი ქართული ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

დღეს საქართველოში, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ახლადგამომცხვარი პარტიების ლიდერები თუ მათი წევრები, ჟურნალისტები თუ პოლიტიკოსები, ერთხმად გაჰყვირიან: საქართველოში მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე ერთად ვცხოვრობდით აფხაზები და ქართველები (?)

მე კი ასე დავუმატებდი: საქართველოში საუკუნეების მანძილზე ერთად ვცხოვრობდით სვანები და ქართველები, ან ერთად ვცხოვრობდით გურულები და ქართველები, ან ერთად ვცხოვრობდით რაჭველები და ქართველები, და ასე უსასრულოდ.

რაო, ხალხნო, ყველანი ჰიპნოზირებული ხართ? სად? რომელ ისტორიულ წყაროში სწერია, აფხაზი სხვაა და ქართველი სხვაა. სად, რომელ ისტორიულ წყაროში სწერია, რომ ადიღეელთა ტომი აფსუა და აფხაზი ერთი და იგივეა?

დამისახელეთ თუნდაც ერთი ისტორიული წყარო.

მერვე საუკუნემდე აფხაზეთი არსად არ მოიხსენიება, არც ერთ ისტორიულ წყაროში. მაშ საიდან მოიტანეთ ეს მრავალი ათასი წელი?

აფხაზეთის სამეფო, დღიდან მისი შექმნისა ქართული სახელმწიფო გახლდათ. იმ დროს, როცა აფხაზეთის სამეფო იქმნებოდა, აფსუას წინაპრები უმ ხორცს მიირთმევდნენ ჩრდილო კავკასიის გაუვალ ტყეებში. სამწუხარო ფაქტია ის, რომ აფსუა გაიგივებულ იქნა აფხაზთან და აფსუა აფხაზეთად გამოცხადდა. ხოლო ქართველთა ტრაგედია მაშინ დაიწყო, როცა „აფხაზეცებს“ ავტონომია შეუქმნეს. ავტონომიის მთავარი ატრიბუტები შემდეგი გახლდათ: ცკ-ს პირველი მდივანი (ავტონომიის სრული ბატონ-პატრონი) „აფხაზეცი“ უნდა ყოფილიყო. პარლამენტის თავმჯდომარედ „აფხაზეცი“ ინიშნებოდა (არჩევაზე ზედმეტია ლაპარაკი), მინისტრთა უმრავლესობა — „აფხაზეცები“, საწარმოო-დაწესებულებისა — „აფხაზეცები“. ჩამოყალიბდა კორუმპირებული ეთნოკრატია. ხოლო ამ კორუმპირებულ ეთნოკრატიას ნიადაგი ეცლებოდა ფეხქვეშ, თუკი საზოგადოებისათვის ცნობილი იქნებოდა ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ ქართველები არიან აბორიგენები და აფსუები ძალზე გვიან მოსულები აფხაზეთში.

საჭირო შეიქმნა შესაბამისი ისტორიის შექმნა, უფრო სწორად გაყალბება. ამიტომ იყო, რომ აფსუებს შორის ყველაზე პრესტიჟული პროფესია გახლდათ ისტორიკოსობა.

რა საძაგლობა არ შეთხზეს ამ ხალხმა. სხვებს რომ დავი დავანებოთ, მარტო შალვა ინალ-იფა გამოდგებოდა სიყალბის კლასიკურ ნიმუშად. ისტორიას რომ არ შევეხოთ, მარტო მისი ეთნოგრაფიული „ნარკვევები“ რად ღირს. მსოფლიოში ალბათ, მეორე ანალოგიას ვერ იპოვის კაცი, ერთი ერის ეთნოგრაფია მეორისათვის რომ მიეწეროს ვინმეს. ასე მიითვისეს აფსუებმა კოლხური ეთნოგრაფია და აფხაზეთის ისტორია. ხოლო აბორიგენები (ქართველები) დამპყრობლებად და კოლონიზატორებად გაასაღეს. ამას ჰქვია, ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო.

„შრომები“ კი რუსულად იბეჭდებოდა მრავალათასიანი ტირაჟით, თანაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრიფით.

აფსუას ენაზე 10 თუ 12 ათასი კაცი ლაპარაკობს მხოლოდ. მაშ, რა საჭირო იყო ასეთი დიდი ტირაჟით ამ წიგნების გამოშვება და თანაც რუსულად? ნებისმიერი ისტორიკოსი ხომ საკუთარი ერის ისტორიას მშობლიურ ენაზე წერს. საქმე ის გახლავთ, რომ მრავალი ათეული წლის მანძილზე იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი უძველესი მაღალგანვითარებული კულტურული ერის შესახებ, ერისა, რომელიც მოსპო და გაანადგურა დამპყრობმა ქართველებმა და თანაც მინიმუმამდე დაიყვანა მათი რაოდენობა.

რას აკეთებდნენ ამ დროს ქართველი მეცნიერები?

ქართველ მეცნიერებს ხელფეხი ჰქონდათ შეკრული, ვინაიდან აფხაზეთის ისტორიას ტაბუ ჰქონდა დადებული. თუ კი რაიმე მცდელობა იქნებოდა გამოქვეყნებულიყო მასალა, მის დაბეჭდვამდე საპროტესტო აქციები ეწყობოდა სოხუმში. ეს კი საფრთხეს უქმნიდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს წევრებს. საბჭოთა კავშირში ხომ ვითომდა საბოლოოდ იყო გადაწყვეტილი ეროვნული საკითხი. სკამის დაკარგვა არავის უნდა. ამიტომ ეკრძალებოდათ ქართველ მეცნიერებსა და პუბლიცისტებს აფხაზეთის საკითხზე რაიმეს წერა. ხოლო აფსუებმა არა თუ მსოფლიოს გააცნეს თავი ყალბი ისტორიით, არამედ მთელი თაობები აღზარდეს ქართველთა მიმართ სიძულვილით.

დღეს რას ვაკეთებთ ქართველები? — ისევ ძველებურად გავყვირით ათწლობით ერთად ვცხოვრობდითო. ისევ მათ წისქვილზე ვასხამთ წყალს და არავის აზრად არ მოდის, თუნდაც ერთი წუთით დაფიქრდეს და გაარკვიოს ვინ არის აფხაზი და ვინ აფსუა.

მუხას უთქვამს, ნაჯახი რას მიზამდა, ჩემი მოძმე ტარად რომ არ ერგოსო.

საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ტრიბუნასთან მიდის ქალბატონი ადა მარშანია და აცხადებს: მაპატიეთ, ქართულად თუ რაიმე შემეშალოსო. დარბაზს აგრძნობინა, მე სხვა ეროვნების წარმომადგენელი ვარ და ქართული ენა სრულყოფილად არ ვიციო. ამას ამბობს თავადის ასული ქართველი ქალი (რასაკვირველია, აფხაზი).

გამოდის საქართველოს ტელევიზიით ბატონი გივი ემხვარი, ჩამოთვლის მთელ რიგს აფხაზთა თავადებისა და ერთ ქვაბში ხარშავს აფსუასა და აფხაზს.

პროგრამა „Вестник“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ბატონ ლორიკ მარშანიას კინაღამ სიმართლე წასცდა, მე არძინბაზე უკეთესი აფხაზი ვარო და მერე ქართულად დაუმატა, კეთილშობილი გვარის წარმომადგენელი გახლავართო.

ბატონო ლორიკ! კი, მართალია, სამოცდაათი წლის მანძილზე კომუნისტებმა თავიანთი საზიზღარი იდეოლოგიით თავადები შეაძულა ქართველ ხალხს, მიუხედავად ამისა, თქვენ უფრო ამაყად უნდა ამბობდეთ, თუ რა ფენის წარმომადგენელი ხართ. ქართველი თავადები იყვნენ ის ხალხი, რომლებმაც დღემდე მოიყვანა ქართველობა და ჩვენი კულტურა. საერთაშორისო ენაზე ამ ფენას არისტოკრატია ეწოდება და მის გარეშე ნებისმიერი კულტურული ერი, როგორც ერი, წარმოუდგენელია საერთოდ. რამდენადაც აქ საკითხი აფხაზეთს ეხება, თქვენ, მარშანიები, ემხვარები და რასაკვირველია, შერვაშიძეები ქმნიდით აფხაზეთის ისტორიას, რომელსაც გვედავება დღეს ადიღეელთა ტომი აფსუა.

დიახ, ბატონო ლორიკ! თქვენ ხართ აფხაზი, მაგრამ არძინბა არ გახლავთ აფხაზი. სიტყვა აფხაზი ქართულია. აფსუა როდი ამბობს აფხაზი ვარო, არამედ „აფხაზეცი“ ვარო, ანუ აფხაზეთიდან ვარო. (იხ: Тбилисец — თბილისელი, Сухумец — სოხუმელი, Ленинградец — ლენინგრადელი და ა.შ.) აფსუა თავისივე პასპორტით უარყოფს აფხაზობას.

და აი, ამ ვითარებაში, ჩვენ, ქართველებს, არ შეგვწევს უნარი სიმართლე (როგორი მწარეც არ უნდა იყოს ის) ვუთხრათ აფსუებს და მსოფლიოს საზოგადოებას.

ბატონო პარლამენტის წევრებო! გამოჰყავით ერთი სამუშაო დღე, მოიწვიეთ პარლამენტში ბატონი დავით მუსხელიშვილი და ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე და მოუსმინეთ მათ. თქვენ ქმნით დღეს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას და, ყოვლად დაუშვებელია არ იცოდეთ ვინ არის ვინ. დღემდე აფხაზეთის მიმართ ხომ მცდარი და ყოვლადგაუმართლებელი გახლდათ ქართული სახელმწიფო პოლიტიკა. წინა შეცდომებს რომ თავი დავანებოთ, თუ დღეს აფხაზეთში ჯარის შეყვანა იქნებოდა საჭირო, ამ ჯარს მთლიანად უნდა დაეკავებინა აფხაზეთის ტერიტორია. გუმისთაზე სამხედრო შენაერთების გაჩერება საკმაოდ ძვირად დაუჯდა საქართველოს.

დღეს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა უმეტესობა მოითხოვს გაეროს ჯარების შეყვანას აფხაზეთში. ეს კი მეორე უხეში პოლიტიკური შეცდომა იქნება და მას კატასტროფული შედეგები მოჰყვება. ჩვენ ზუსტად ის დაგვემართება, რაც კვიპროსში მოხდა. გაეროს ჯარების შემოსვლის შემდეგ საბოლოოდ გაფორმდება აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჯერ დე ფაქტო, მერე დე იურე. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სამუდამოდ დაიდება მდინარე გუმისთაზე, შესაძლოა, ენგურზეც.

თუ რუსეთმა დახმარება შეუწყვიტა გუდაუთას, მაშინ არძინბა და მისი ხროვა იძულებული გახდება, მოლაპარაკება დაიწყოს საქართველოს მთავრობასთან. აფსუების პირველი და უმთავრესი მოთხოვნა იქნება მათთვის საარჩევნო კვოტის დადგენა. აქ საქართველოს მთავრობამ უნდა გამოიჩინოს ურყევი პრინციპულობა. პირველ რიგში აღდგენილი უნდა იქნას ომამდელი დემოგრაფიული სტატუს ქვო. არძინბას მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩამოსახლებული ხალხი გამოცხადდეს პერსონა ნონ გრატად. ეს არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. თუნდაც უახლესი მაგალითი მოვიტანოთ. აშშ-ს ადმინისტრაციამ გემებში ჩასვა ამერიკაში უკანონოდ ჩასული პუერტორიკოელები და სამშობლოში დააბრუნა ისინი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩატარდეს აფხაზეთში, ნორმალური, საერთაშორისო ნორმებზე დამყარებული არჩევნები და არავითარი ქვოტა არ უნდა იყოს დაშვებული რომელიმე ერის მიმართ. აფხაზურ აპარტეიდს საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი. პრინციპი ერთი უნდა იყოს: — ერთი ამომრჩეველი — ერთი ხმა, კანონის წინაშე თანაბარი უნდა იყოს აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი.

აფხაზეთის ავტონომიის არსებობას არავითარი გამართლება არა აქვს, მაგრამ ჩვენ უძლურნი ვართ რუსეთის წინაშე, რომელიც უცერემონიოდ აფათურებს ხელს ჩვენს საშინაო საქმეებში და მოითხოვს აფხაზეთის ავტონომიის შენარჩუნებას. აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარედ გავა იმ ერის წარმომადგენელი, რომელსაც აირჩევს თვით პარლამენტი და თავმჯდომარის არჩევას არავითარი წინა პირობა არ უნდა ედოს საფუძვლად. მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე და კაბინეტის წევრები აირჩევა პარლამენტის წევრთა უმრავლესობით და არა წინასწარ დადგენილი ქვოტით, როგორც ეს იყო ადრე.

შეიძლება ამ საკითხშიც მოისურვოს რუსეთმა ჩარევა, მაგრამ ჩვენ უნდა მოვიშველიოთ საერთაშორისო სამართლის ნორმები. ერთი ერის წარმომადგენელთა მიმართ ქვოტას დაწესება არღვევს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლის უფლებებს.

არის კიდევ [illegible] რასაც არ ითვალისწინებს ბევრი ქართველი.

აფსუების საერთო რაოდენობა არ აღემატება 20—25 ათასს, შეიძლება ამდენიც არ იყოს. აფხაზეთში აღწერის ყველა ბერკეტი აფსუების ხელში იყო და დემოგრაფიულ სურათს ისე წარმოადგენდნენ, როგორც მათ სურდათ, ქართველებისა იმაზე ნაკლები ვიდრე სინამდვილეში იყო და „აფხაზეცებისა“ პირიქით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში კარგად იციან რამდენი ქართველი იყო „აფხაზეცად“ ჩაწერილი. მაგრამ მათი სტატისტიკა სრულ სურათს როდი ქმნის, რადგან იუსტიციის სამინისტრომ „აფხაზეცად“ ჩაწერილი ქართველების საბუთების გადაფორმება 1989 წლის 15 ივნისის ამბების შემდეგ დაიწყეს და გარკვეული მიზეზების გამო ბოლომდე ვერ მიიყვანეს. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები არ შეხებიან იმათ, ვინც აფსუაზე მეტს „აფხაზეცობს“. ანდა როდის გახდნენ ადიღეელთა შთამომავალნი კობახიები, ჯინჯოლიები, მექვაბიები, ლაბახუები, გაგუები, ფაჩულიები, წერეთლები და ჩაკვეტაძეები?

საქართველოს ეს გზააბნეული შვილები დედასამშობლოს უნდა დავუბრუნოთ. სათითაოდ რომ მოგვიწიოს აფხაზეთის მცხოვრებთან გასაუბრება, ჩვენ ვალდებული ვართ ვუთხრათ მათ, თუ ვინ არის ვინ.

დღეს, როცა ელექტრონული ინფორმაციის ისეთი საშუალებები არსებობს, როგორიცაა რადიო და განსაკუთრებით ტელევიზია, ამის გაკეთება არც ისე რთულია. ისტორიის და ეთნოგრაფიის საკმაოდ ძლიერი სპეციალისტები გვყავს, რომლებსაც ზედმიწევნით შეუძლიათ განუმარტონ აფხაზეთში მცხოვრებ გზააბნეულ ქართველებს, ვინ არიან წარმოშობით, სად და როგორ წარმოიქმნა მათი გვარები. ფსიქოლოგებიც შეიძლება დაეხმარონ ზემოხსენებულ სპეციალისტებს. სურვილია მხოლოდ საჭირო. სანამ უნდა ვითმინოთ ჩვენ, როცა ჩვენი სისხლი და ხორცი მტრის ბანაკში მეტ აქტიურობას იჩენს, ვიდრე თვით მტერი.

უჭირს დღეს საქართველოს, უჭირს ვიდრე არასდროს. მიუხედავად ჩვენი ასეთი გაჭირვებისა, უნდა გამოვნახოთ სახსრები და თბილისში მოვიწვიოთ საერთაშორისო კონფერენცია აფხაზეთის საკითხზე. კონფერენციაზე მოწვეულ უნდა იქნან ის მეცნიერები, რომლებსაც საერთოდ რაიმე შეხება ჰქონიათ საქართველოს ან კავკასიის ისტორიასთან. კონფერენციაზე უნდა შეჯერებულ იქნას ყველა ისტორიული ფაქტი, იქნება ეს ქართულ ან სხვა ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით და საბოლოოდ დადგინდეს ვინ არის აფხაზი და ვინ არის აფსუა. ამის შემდეგ მსოფლიო საზოგადოებას მოვახსენოთ, რა პრეტენზიებს გვიყენებს ეს ხალხი ჩვენ და როგორია სინამდვილე. რასაკვირველია, დაწვრილებით უნდა იქნას განმარტებული აფხაზური აპარტეიდის სრული არსი. მთავრობის დადგენილებით უნდა აღდგენილ იქნას აფხაზეთის დასახლებული პუნქტების ისტორიული სახელწოდებანი. თუ დღეს ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, მომავალი თაობა სამარცხვინო ბოძზე გაგვაკრავს ყველას.

ბორის ბერიშვილი

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მსოფლიოს პარლამენტებსა და მთავრობებს

საქართველოში, აფხაზეთის ფრონტებზე მიმდინარეობს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა და ქალაქ სოხუმის მოსახლეობის წინააღმდეგ სამარ მოქმედებაში რუსეთის ფედერაციის ჩარევის ესკალაცია.

ა) სეპარატისტთა შეიარაღებით

ბ) მათი წვრთნით, ინფორმირებით და ფათი ოპერაციების ხელმძღვანელობით

გ) რუსეთის ტერიტორიიდან საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებულ რაზმებად ორგანიზებულ მოქალაქეთა შემოყვანით

დ) რუსეთის არმიის დროებით დემობილიზებულ სამხედრო მოსამსახურეთა შემოგზავნით

ე) საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ შეტევით სამხედრო მოქმედებაში რუსეთის შეიარაღებული ძალების (ავიაციის არტილერიის) მონაწილეობით.

მიმდინარე პროცესი სხვა არ არის რა, თუ არა რუსეთის გამოუცხადებელი და შეზღუდული ომი საქართველოს წინააღმდეგ.

დღეს საქართველოს მდგომარეობა უკვე კრიტიკულია. ორ თვეზე მეტია, რაც აფხაზ, სეპარატისტების, მოხალისეებისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ თითქმის შეუწყვეტლივ იბომბება და არტილერიის ცეცხლის ქვეშაა აფხაზეთის ავტონომიურ, რესპუბლიკის დედაქალაქი. სოხუმი, დაღუპულ მსხვერპლთა 90 პროცენტზე მეტი მშვიდობიან მოსახლეობაზე მოდის.

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტარები მივიჩნევთ, რომ ზემოხსენებული ვითარება სწორედ ... წარმოადგენს, როცა საჭიროა მსოფლიოს ჩარევა აგრესიის ობიექტად ქცეული ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს გადასარჩენად. ვითვალისწინებთ რა რუსეთის დემოკრატიზაციის უდიდეს მნიშვნელობას მსოფლიოსათვის, თავს უფლებას ვაძლევთ შეგახსენოთ, რომ რუსეთის დემოკრატიზაცია ვერ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მას საშუალება დარჩება აგრესიული ომების დაწყებისა და წარმატებით დამთავრებისა მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ.

გთხოვთ შველას ყველა მისაწვდომი საშუალებით ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად.

საქართველოს პარლამენტის წევრები

1. ნ.ნათაძე
2. გ.ქალანდია
3. ზ.შენგელია
4. კ. კიკაბიძე
5. გ.კობახიძე
6. ფ.საყვარელიძე
7. ტ.ციხელაშვილი
8. ზ.გოგია
9. მ.მანძულაშვილი
10. მ.ჩიქლაური
11. ნ.ქარციძე
12. ზ.მურვანიძე
13. ზოლაიძელი
14. რ.კუპრავა
15. ჯ.კურტანიძე
16. ა.ჯიქია
17. გ.სნხჩიანი
18. გ.ფაცაცია
19. ა.იოსელიანი
20. ა.ძაფაკაშვილი
21. ლ.ბერძენიშვილი
22. დ.კუპრეიშვილი
23. ვ.ტალახაძე
24. ა.ნადარაია
25. ნ.ვეფხვაძე
26. გ.შელია
27. ჯ.პატიაშვილი
28. თ.მგელიაშვილი
29. ს.მეგუთნიშვილი
30. გ.ჭინჭარაული
31. ა.ზერიძე
32. ვ.ზალიაშვილი
33. ა.ასათიანი
34. თ.სუმბათაშვილი
35. პ.ჩხეიძე
36. თ.პაატაშვილი
37. ჯ.ბერიძე
38. ლ.მესხი
39. გ.როგავა
40. გ.ლომინაძე
41. შ.ნათელაშვილი
42. თ.ოზგაძე
43. გ.ციხისთავი
44. თ.ჩხეიძე
45. გ.ნიკოლაიშვილი
46. კ.კახაძე
47. კ.ბერიძე
48. ჯ.ალამია
49. გ.გვაზავა
50. ზ.ანდრიაძე
51. გ.ყორანაშვილი
52. ჯ.გორგოძე
53. ი.შენგელაია
54. რ.ჯაფარიძე
55. ე.ოთარაშვილი
56. რ.მიმინოშვილი
57. მ.ურიდია
58. ოთ.მელქაძე
59. გ.ფანჩულაშვილი
60. ნ.კოხრეიძე
61. გ.ლორთქიფანიძე
62. ლ.თირქია
63. გ.ხველელიძე
64. თ.დიხამინჯია
65. ნ.ლეკიშვილი
66. თ.კოპალეიშვილი
67. გ.აბალაკი
68. თ.გელოვანი
69. ალ.გუგუნავა
70. გ.ჭულაია
71. ვ.ძაბირაძე
72. ა.ფალავა
73. ნ.ჭავჭავაძე +++
74. გ.ბარამიძე
75. ე.შენგელაია
76. შ.ძაგნიძე
77. რ.ლიპარტელიანი
78. თ.ბასილაია
79. ვ.გუზალაძე
80. ვ.ხმალაძე
81. ბ.გულუა
82. ა.კობაიძე
83. ი.ორჯონიკიძე
84. ა.გელაძე
85. ვ.გოცირიძე
86. გ.ახვეტელი
87. მ.ძაჯაია
88. თ.ცინცაძე
89. თ.ჟორჟოლიანი
90. ნ.კენჭუაშვილი
91. ჯ.აჯიაშვილი
92. გ.კიკნაძე
93. ვ.ბალაშვილი
94. რ.საყვარელიძე
95. დ.ბახტაძე
96. ი.ჭელიძე
97. ს.რუხაძე
98. ვ.ხუხუნაიშვილი
99. გ.თუმანიშვილი
100. გ.გაჩეჩილაძე
101. ლ.შაქიაშვილი
102. ვ.ლორთქიფანიძე
103. მ.მჭედლიძე
104. ლ.მამალაძე
105. პ.მამრაძე
106. მ.გიგინეიშვილი
107. გ.იორამაშვილი
108. ლ.დოლობერიძე
109. ო.ხუციშვილი
110. ნ.ჯეირანაშვილი
111. პ.კოლუაშვილი
112. მ.მეტრეველი
113. რ.ხარატიშვილი
114. დ.ჩიტლოვი
115. გ.ჟორჟოლიანი
116. მ.ჩაკვეტაძე
117. გ.უსტიაშვილი
118. ტ.არველაძე
119. მ.ჩხენკელი
120. გ.ლობჟანიძე
121. შ.ბერიანიძე
122. ა.ბრეგაძე

დამსწრე დეპუტატთაგან ხელმო-წერაზე უარი განაცხადეს ძარ[...] ლოს დარიბაშვილმა, ირაკლ[...] ანდრიაძემ, ბორის ლომსაძ[...]

რედაქციისაგან: შეგახსენებ[...] რომ გადაწყვეტილების მიღ[...] ლებად საჭიროა 113 ხმა. აქ [...] 122 ხელმოწერაა...

# ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს ბ-ნ თედო ნინიძეს

ბატონო თედო, ვფიქრობ, უპრიანი იქნება სწორედ თქვენს წინაშე დაისვას ის საკითხი, რაზეც ქვემოთ მექნება საუბარი.

უკანასკნელ ხანებში პრესაში ხშირად იბეჭდება და ტელეეკრანიდანაც გაისმის პარლამენტარებისაგან ეროვნული ბანკიდან დიდი რაოდენობით კრედიტის აღების თაობაზე, და რომ ეს თანხები პრადანიშნულებისამებრ, პირადი ინტერესებისათვის იხარჯება. გაზეთ „საქართველოში" კარიკატურაც კი დაიბეჭდა, პარლამენტის სხდომათა დარბაზი ცარიელია, სამაგიეროდ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მისაღები პარლამენტარებითაა სავსე. 23 ივლისს კი პარლამენტის სხდომაზე მომხდარმა ინციდენტმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა-დეპუტატმა თენგიზ კიტოვანმა ასეთ დეპუტატებს ქურდები უწოდა (თუმცა ბ-ნ სპიკერს დიდხანს ეგონა ყურმა მოატყუა).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის VII ტომში ვკითხულობთ: „ქურდი — სხვისი საკუთრების მალულად, ფარულად მიმტაცებელი. ქვემის და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო (ანდაზა). ქურდის შემნახავი ქურდზე უარესიაო (ანდაზა)" გვ.374.

მართალია, გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის დადგენილება („საქართველოს რესპუბლიკა", 1993.26.VI.№136—137) „საქართველოს ეროვნული ბანკის კრედიტების გაცემის მიზანშეწონილობის შემსწავლელი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შესახებ", მაგრამ ვერც ეს კომისია იქნება ობიექტური იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის პარლამენტის წევრებითაა დაკომპლექტებული.

და ეს ყოველივე ხდება მაშინ, როდესაც მთავრობამ თავის ხალხს უკანასკნელი მანეთი შემნახველ სალაროებში შეატანინა, რადგან ფულადი ნიშნების უკმარისობის გამო ხელფასებს ვერ არიგებდა, და პირველი აგვისტოდან მათ ერთ საბჭოურ მანეთში „გაორმაგებულ" ორ კუპონს სთავაზობს.

აგვისტოს მოახლოებისთანავე ტელევიზიამ მეანაბრეთა ყური შეაჩვია იმ აზრს, რომ ეს თანხა მეტად აღარ გაიზრდება და მოუწოდათ იგი პრივატიზაციისათვის (?!) გამოიყენონ.

ამ დღეებში კი შავ ბაზარზე 1 მანეთი 7 კუპონზე რომ იცვლებოდა, ეს 26 ივლისს „ალიონში" ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ბ-ნ მერაბ კაკულიამაც დაადასტურა.

როგორც ყოველთვის მთავრობა დარჩა მოგებული, მოსახლეობა-დაზარალებული.

ამ დროს რა მორალური უფლებით უნდა იმსჯელონ კუპონის გაუფასურებაზე იმ დეპუტატებმა, რომლებიც ამ პროცესის უშუალო თანამონაწილენი არიან?

საქართველოს თუ ამდენი შესაძლებლობა გააჩნდა, ამ სახსრებით მართლაც დაგვექირავებინა ჯარი და დღეს რამდენი ბიჭის სიცოცხლე გადაგვირჩებოდა.

ხშირად გაისმის, რომ საქართველოში ომია და უნდა გავიჭირვოთ, მაგრამ ომი ყველასათვის ომი უნდა იყოს და თუ გაჭირვებაა, ყველამ ერთნაირად უნდა გავიჭირვოთ.

როგორც ერთ-ერთ გაწბილებულ ამომრჩეველს საჭიროდ მიმაჩნია (და ვფიქრობ ბევრის აზრს გამოვხატავ), შეიქმნას ახალი, ობიექტური კომისია ეროვნული ბანკიდან ფულადი სახსრების მასობრივად დატაცების გამო (ამას სხვა სახელს ვერ ვუწოდებ), განხორციელდეს ამ თანხების დაბრუნება ბანკში, თორემ დეპუტატის გაწვევა პარლამენტიდან ვერაფერი სასჯელია. როგორც ჩანს, ბევრ მათგანს მთელი ცხოვრება უკვე მატერიალურად გარანტირებული აქვს. მოსახლეობას უნდა დაუბრუნდეს დღევანდელი კურსით ის თანხა, რომელიც მან სახელმწიფოს მიაბარა, უკეთ რომ ვიქვათ, გულუბრყვილოდ ანდო.

უნდა გამოქვეყნდეს იმ დეპუტატთა სია, რადგან ხალხმა უნდა იცოდეს, თუ ვინ ვინ არის. არსებობს აზრი, არ უნდათ ხალხს რწმენა დაუკარგონ, ამიტომ არ აქვეყნებენო. ამ დროს კი ხალხმა ყველაფერი კარგად იცის, რომელი სჯობს, ხალხსა უნდობლობა გამოუცხადოს თავის „რჩეულს" თუ მთავრობას, მათზე ხელის გადაფარებისათვის? გავიხსენოთ ზემოთ მოხმობილი ანდაზა-"ქურდის შემნახავი ქურდზე უარესია".

ვიმედოვნებ, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და ამჯერად ეს ანდაზა აღარ გამართლდება.

რაც შეეხება ამ მრავალპარტიულობას, თუ ამასაც ხალხის ზურგზე უნდა გადაევლო, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს ამის თქმა, ამას ისევ ერთი პარტიის შენახვა სჯობდა.

პატივისცემით,

ლეილა ნანიტაშვილი

გამომცემლობა „საქართველოს" დარგობრივი ლიტერატურის რედაქციის გამგე. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

26.VII.1993 წ.

# ბეგლარ გუგუტიშვილი



ნეტავ ახლა ამას კი არ ვწერდეთ, გეუბნებოდეთ, ბეგლარ! ნეტავ კი არ გრძნობდეს შენი ალალმართალი სული ყველაფერს, შენ ხედავდე თავად იმ შენს ნაცნობ-მეგობრებს, დღეს რომ ასე დაამწუხრე შენი გარდაცვალებით. ადამიანი შეიძლება ბევრს უყვარდეს, მაგრამ ყველას რომ უყვარდეს, იშვიათად. შენ ერთ-ერთი იმ უიშვიათაგანესი იყავი, ბეგლარ.

ეროვნული მოძრაობის პირველი დღეებიდანვე უამრავი ნაცნობ-მეგობარი შეიძინე. საქართველოს ბედნიერი მომავლის მოსაპოვებლად შეხვედი შენი სათაყვანებელი ადამიანის — მერაბ კოსტავას მიერ ჩამოყალიბებული „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებაში" და ცდილობდი ისეთი ყოფილიყავი, როგორსაც უყურებდი მერაბს — მასავით კეთილი, ერთგული, მიმტევებელი. აკი იყავი კიდეც, როცა 1990 წლის იანვარში სამაჩაბლოელმა გამწარებულმა ქალებმა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმთან მთავრობის საპროტესტო აქცია გამართეს, აქციის ორგანიზატორობა შენ დაგევალა. იკისრე და სინდისიერადაც შეასრულე. უღალატო იყავი და იმიტომ. როცა 1991 წელს ორად გახლეჩილი ერი ერთმანეთს სამკვდრო — სასიცოცხლოდ გა[...] დაეკიდა, შენ არცერთი მხრიდან ტყვია[...] არ მიგიმართავს, მეგობრები არ დაგიკარგავს, იმას განიცდიდი, ქართველები ერთმანეთს როგორ ესვრიანო.

„ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული[...] თავის ერია,

არ შედრკეს, თუნდაც ბუზივით ეხვიოს თავზე მტერია,

არ გადიწყვიტოს იმედი, არ შეიცვა[...] ლოს ფერია,

თორემ დაჭგმობს და დასწყევლი[...] მოძმე ერი და ბერია".

ეს ხალხური ნათქვამი ისე მოგერგო[...] თითქოს შენ თავად დაგეწეროს შენს თავზე. სწორედ იმიტომ იცავდი შენს მშობლიურ სოფლებს — გუგუტიანთკარს[...] და დისევს ოსების შემოტევებისაგან[...] სწორედ იმიტომ უთხარი აფხაზეთის დასაცავად მიმავალ შენს მეგობრებს: „არ გამეპაროთ თორემ ვიფიქრებ, ღირსეულად არ მთვლიანო". აკი არც გაგეპარნენ[...] ერთად წახვედით. სულ 5 დღე იყავ[...] ფრონტზე ბეგლარ, მაგრამ გაოცებულ[...] თურმე ბიჭები, ისეთი თავგანწირვით იბრ[...] ძოდი. ვაჟკაცურად დაამთავრე ვაჟკაც[...] სიცოცხლე. ვაი ჩვენ, შენი და შენისთან[...] ბის დაკარგვით გამოწვეული დარდს დ[...] ნალვლს უიმედობაც რომ შეეპარა; ალ[...] ბათ ამიტომ სთქვა ერთ-ერთმა შენმა თ[...] ნამებრძოლმა მომაკვდავს რომ გიყურე[...] ბდა — ეგებ ეს ყველა ჩვენთაგანზე უფ[...] რო ბედნიერი იყოსო. ღმერთმა არ ქნა[...] ბეგლარ; ცოცხალი იყავი და გვეიმედე[...] ბოდი, აღარ ხარ და გვჯერა, შენი სული[...] ვერ დაწყნარდება მანამ, სანამ საქართველოს არ დაიგულებ ისეთს, როგორისთვი[...] საც იბრძოდი.

მაშ, მოდი; ნუ დავემშვიდობებით ერთმანეთს ბეგლარ, ჩვენ აქ, შენ მან[...] ერთად ვილოცოთ სამშობლოს გადარჩენისათვის!

მეგობრები


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ჯემალ კასრაძე
ვახტანგ კომახიძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯაჯანაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 60 კუპონი